კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სალომე ქიმერიძე

ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული პოლიტიკა

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2018

ანოტაცია

ახლო აღმოსავლეთში უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც მიმდინარეობს ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს (განსაკუთრებით პალესტინა) შორის აქამდე გადაუჭრელი კონფლიქტი. უნდა აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ცხელი წერტილია და კონფლიქტების მხრივ ეს რეგიონი გამორჩეულია. აღნიშნული პრობლემა აქტუალობას არ კარგავს უკვე დიდი ხანია. ამ კონფლიქტის მოგვარების არაერთი მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა.

აღნიშნული საკითხი იმდენად მწვავეა, რომ კონფლიქტის მიმდინარეობისას გაძლიერდა ტერორიზმის საფრთხე,რომელიც უკვე ბევრად გასცდა რეგიონის ფარგლებს,რაც კიდევ უფრო ართულებს აქ ისედაც დაძაბულ ვითარებას.

ისრაელი სხვასადხვა ხერხით ცდილობს ებრძოლოს ტერორიზმს,რასაც საკმაოდ კარგად უმკლავდება. ისრაელის სახელმწიფოს სპესცამსახურები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან და მსოფლიოში, ცნობილია მათ მიერ ჩატარებული არაერთი წარმატებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციები, თუმცა ნაკლებადაა ცნობილი სპეცსამსახურებზე მათ მუშაობის სპეციფიკასა, ტაქტიკასა და აგენტურის ჩამოყალიბების შესახებ.

Salome Kimeridze

Israel State's anti-terrorist policy

Annotation

The conflict in the Near East has been going on for already couple of decades between Israel and Arabian countries (especially pelestine). It is essential to note that Near East still remains the hottest spot worldwide and this region is actively involved in conflicts. The topic mentioned above has been the subject matter for too long.

Despites the vast of attempts to end the conflict it is all in vain. The subject is so incisive that the threat of terrorism has emerged in the conflict process.

The terroristic actions have exceeded the region which makes the situation more tensed. Israel has been trying to fight against Terrorism in many different means and manages it well enough.

Special forces in Israel have had many successful operations against Terrorism, but the world knows very little about its special service, strategies, tactics and the forming of their agency.

შესავალი.....5

I თავი.....10

სიონიზმი და ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის იდეა.....10

1.1. ისრაელის სახელმწიფოს წინარე ისტორია 10

1.2. სიონიზმი 15

1.3. ბალფურის დეკლარაცია და ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხი. 20

თავი II.....23

ბრიტანული მანდატი და ისრაელის სახელმწიფო.....23

2.1. რევიზიონისტული მოძრაობა.....23

2.2. პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაცია და სიონისტების აქტიურობა.....25

2.3. ისრაელის თავდაცვითი პოლიტიკის გაძლიერება 33

თავი III.....44

ისრაელი და ტერორიზმი.....44

3.1. ტერორიზმი; მისი არსი და სახეები.....44

3.2. ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული განყოფილებები.....51

3.3. მსოფლიოს საუკეთესო სპეცსამსახური „მოსადი“ 57

3.4. ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი ტერორისტული ორგანიზაციები 68

დასკვნა.....79

გამოყენებული ლიტერატურა 81

შესავალი

ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ცხელი წერტილია, რომელიც მსოფლიოში კონფლიქტების მხრივ გამორჩეული რეგიონია. ამ კონფლიქტებს შორის გამოირჩევა ისრაელსა და პალესტინას შორის მიმდინარე კონფლიქტი , რომელიც რამოდენიმე ათეული წელია რაც გრძელდება და რომლის მოგვარების გზებიც ჯერ კიდევ ვერ მოინახა. აღნიშნული პრობლემა აქტუალობას არ კარგავს უკვე დიდი ხანია როგორც რეგიონში ისე რეგიონს გარეთაც. ამ კონფლიქტის მოგვარების არაერთი მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა.აღნიშნული საკითხი იმდენად მწვავეა, რომ კონფლიქტის მიმდინარეობისას გაძლიერდა ტერორიზმის საფრთხე,რომელიც უკვე ბევრად გასცდა რეგიონის ფარგლებს,რაც კიდევ უფრო ართულებს აქ ისედაც დაძაბულ ვითარებას. ისრაელი სხვასადხვა ხერხით ცდილობს ებრძოლოს მომძლავრებულ ტერორიზმს,რასაც საკმაოდ კარგად უმკლავდება.

ისრაელის სახელმწიფოს სპესცამსახურები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან და მსოფლიოში ცნობილია მათ მიერ ჩატარებული არაერთი წარმატებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციები, თუმცა ნაკლებადაა ცნობილი სპეცსამსახურების სტრუქტურაზე, მათ მუშაობის სპეციფიკასა, ტაქტიკასა და აგენტურის ჩამოყალიბების შესახებ.

ჰიპოთეზა.

- ისრაელის სახელმწიფოს ჩმოყალიბების ხელისშემშლელი ფაქტორები
- ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებით გამოწვეული კონფლიქტები

- ისრაელის სახელმწიფო ტერორისტების სამიზნე.
- ისრაელის სახელმწიფოს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ

საკვლევი კითხვები.

- ➢ ისრაელ-არაბულ ქვეყნებისა და განსაკუთრებით პალესტინის კონფლიქტი, მათი წარმოშობა და მიზეზები?
- ➢ რა როლს ასრულებს ისრაელის სახელმწიფოს ცხოვრებაში ანტიტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა ?
- ➢ როგორ ებრძვის ისრაელის სახელმწიფო ტერორიზმს?
- ➢ რამდენად მისაღებია ისრაელის ანტიტერორისტული პოლიტიკა მსოფლიოსათვის?

თემის მიზანია ისტორიული რეალობის და აწმყოს შესწავლა და მისი სიღრმისეული ანალიზი, რომელიც დაგვეხმარა ნაშრომზე მუშაობისას სწორი დასკვნების გამოტანაში.

ჩვენნი ამოცანაა ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი ტერორისტული საფრთხეების წარმოჩენა და ვითარების ობიექტური შეფასება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე

ისრალის სახელმწიფოს ეფექტური ანტიტერორისტული საქმიანობის ნაშრომში წინა პლანზე წამოწევა

ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად, ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენა,რომელიც ეფექტიანი იქნება ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ მშვიდობისა და სტაბილურიბის შექმნისათვის

- თეორიული მასალის განხილვა, ანალიზს და დასკვნების გამოტანა
- თვისებრივი კვლევის მეთოდები
- მონაცემთა ანალიზი

- კონტენტ ანალიზი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი

ზოგად კონტექსტში შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ამ კვლევის მოსალოდნელი შედეგების კონკრეტული მიმართულება:

- წარსულის გაანალიზების საფუძველზე შეფასებული თანამმედროვე ეტაპზე არსებული პრობლემები და გამოწვევები;
- ანალიზი , რაც დაგვეხმარა ნაშრომზე მუშაობისას მოპოვებული მასალების სწორად გაანალიზებასა და მართებული დასკვნების გამოტანაში.
- ისრაელის და პალესტინის წარსულში არსებული პრობლემების გაანალიზების საფუძველზე შევაფასეთ თანამედროვე ეტაპზე მათ შორის არსებული პრობლემები და ის გამოწვევები, რომელმაც უკვე გლობალური ხასიათი მიიღო და გააძლიერა ტერორისტების შეტევა ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ამ სახელომწიფოს მხრიდან ეფექტური კონტრტერორისტული საქმიანობის გაძლიერება.
- განვიხილეთ რიგი საფრთხეები, რომელებიც ისრაელის ანტიტერორისტულ მოქმედებების წარმატებას უზრუნველყოფს.
- წარმოვაჩინეთ ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული პოტენციალი, რამაც ხელი შეუწყო ამ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ნაშრომზე მუშაობისას სიღრმისეულად შევისწავლეთ ის საფრთხეები,რომელიც ისრაელს ემუქრებოდა და დღესაც ემუქრება არაბული ქვეყნებისა და განსაკუტრებით პალესტინის მხრიდან. ამ საფრთხეებს შორის განსაკუტრებით გამოვყავით ტერორისტების ქმედებები,რომლის მიზანსაც ისრაელის სახელმწიფოს თავდაცვიტი პოლიტიკის შესუსტება და ზოგი მათგანის კი მისი განადგურება წარმოადგენს. სადიპლომო ნაშრომზე მუშაობამ დაგვანახა ისრაელისადმი მომდინარე საფრთხეების,მისი მხრიდან ეფექტური და დროული წარმოჩენა და ეფექტური

აღმოფხვრა. შეძლებისდაგვარად გავერკვიეთ ამ ქვეყნის წარმატებულ ანტიტერორისტულ საქმიანობაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გამოყენებული იქნება , როგორც ამ პრობლემაზე მომუშავე სტუდენტების (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) , ასევე ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. ვფიქრობთ ასევე ის დაეხმარება ანალიტიკოსებს ,საერთაშორისო ექსპერტებს და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

ისრაელის ანტიტერორისტულ პოლიტიკაზე შექმნილია დიდი რაოდენობის ნაშრომები სხვადასხვა ენებზე, რადგანაც ის ბევრი ქვეყნის მეცნიერთა კვლევების ინტერესებში შედის. ჩვენ შეძლებისდაგვარად, ვეცადეთ გავცნობოდიტ უმეტესი მათგანს, რაზედაც კი ხელი მიგვიწვდა და შევქმენით ნაშრომი, რომელშიც არა მარტო შწვაჯამეთ ჩვენი წინამორბედების მიერ ჩატარებული კვლევები და გავიზიარეთ მათი გამოცდილება ამ მიმართულებით, არამედ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვიტანეთ ჩვენეული დასკვნები თემაში დასმულ პრობლემებზე. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ საკითხებს არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო წერილი მიეძღვნა, როგორც ქართულ ისე სხვადასხვა ენებზე. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე არსებული მასალები გამოვიყენეთ. ესენია:

- რევაზ გაჩეჩილაძის ნაშრომი „ახლო აღმოსავლეთი“[1] რომელმაც დიდი ინფორმაცია მოგვაწოდა ისრაელის წინარე ისტორიაზე და მისი შექმნის პროცესში განვითარებულ მოვლენებზე. მასში ჩვენთვის საინტერესო არაერთი მნიშვნელოვანი საკითხებია გაშუქებული.

[1] გაცეჩილაძე, რ. (2011). *"ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა).* თბილისი.

ასევე ამ საკითხების შესწავლასა და გაშუქებასთან დაკავშირებით დიდი სამსახური გაგვიწია გ.სანიკიძის,ნ.გელოვანისა და გ.ალასანიას ერთობლივად გაკეთებულმა ნაშრომმა „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“[2]

ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე - ნაშრომმა „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“ დაგვეხმარა გავრკვეულიყავით ტერორისზმის დეფინიციის სხვადსხვა განმარტებაში და მისი სახეების გააზრებაში.[3]

ისრაელის საუკეთესო სპეცსამსახურის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა რაფაილ ბლეხმანის ნაშრომმა „მოსსადი,ამანი,შაბაკი, ან ანგარიშსწორება ებრაულად”. (რუსულად)[4]

ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული განყოფილებების შესახებ აქვს განხილული ვ.ა ეპშტეინს სამეცნიერო წერილში »Контртеппопистическая политика Государства Израель»

---

[2] გ.სანიკიძე, გ. ა. (2011). *"ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXIს. დასაწყისში).* თბილისი.

[3] ვ.მაისაია, ბ. (2009). *„ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში".* თბილისი.

[4] ბლეხმან, რ. (2009). *„მოსსადი,ამანი,შაბაკი, ან ანგარიშსწორება ებრაულად”.*

უახლოესი ინფორმაციის მოსაპოვებლად ვისარგებლეთ არაერთი ვებ-გვერდით, ძირითადად ეს გვერდები გახლავთ: 1. http://guide-israel.ru 2. http://law.edu.ru 3. http://intermedia.ge

ეს არის იმ ნაშრომების მოკლე ცამონათვალის განხილვა,რომელიც ჩვენს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ,სრული ჩამონათვალი მითითებულია ბიბლიოგრაფიაში.

თავი I

სიონიზმი და ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის იდეა

1.1 ისრაელის სახელმწიფოს წინარე ისტორია

ძველ ებრაელთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო ისრაელის სამეფო,რომელშიც დას. სემიტური მოდგმის ტომები, მათ შორის საკუთრივ ისრაელი,იუდა,ბენიამინი,ზებულონი და სხვ. შედიოდნენ. სამეფო წარმოიშვა პალესტინაში (ქანაანში) დაახლ. ძვ. წ. XI ს.-ის მიწურულს , როდესაც ისრაელთა ტომებმა თითქმის მთლიანად დაიპყრეს ადგილობრივი ქანაანელები (ასევე დას. სემიტური წარმოშობის ტომები). ქანაანი მოიცავდა ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვიდან

მდინარეების ორონტესის და იორდანეს ველებამდე, ტავრის მთიდან ღაზამდე. თორას თანახმად, ქანაანი მიწა ანუ ერეც-ისრაელი (ებრ. ისრაელის მიწა) იყო ღმერთის მიერ ართქმული მიწა ისრაელის მოდგმისთვის. ძვ.წ. 1050 წელს ისრაელის სამეფოს პირველი მეფე გახდა საული. მეფე დავითმა (ძვ.წ.1003-970) აიღო იერუსალიმი,გამოაცხადა ის ისრაელისა და იუდეას გართიანებული სამეფოს დედაქალაქად და იქ იაჰვეს კულტი დაამყარა.მეფე სოლომონს (ძვ.წ.970-931) მიეწერება ისრაელ-იუდეას ერთიანი სამეფოს აყვავება,იერუსალიმის(იგივე „სოლომონის“)ტაძრის აგება . სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იფეთქა აჯანყებამ (დაახლ.ძვ.წ.928),რასაც შედეგად მოჰყვა ისრაელ-იუდეას ერთიანი სახელმწიფოს გაყოფა (ძვ.წ.930-920) ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ:სამხრეთ სამეფო-იუდეას სამეფო(ცენტრი-იერუსალიმი) და ჩრდილოეთი სამეფო-საკუთრივ ისრაელის სამეფო (ცენტრალი-ქ.სიქემი,ახლანდელი ნაბლუსი;მოგვიანებით დაარსდა ახალი სატახტო ქალაქი -სამარია).

ძვ.წ. 722 წელს ასურელებმა დაიპყრეს ისრაელის სამეფო, განდევნეს ებრაელები და მათ ადგილას ასურეთის ქვეშევდომნი (ბაბილონელები ,არამეელები) ჩაასახლეს,ხოლო ძვ.წ.586 წელს ბაბილონელებმა დაიკავეს იუდეა,მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ გადაასახლა ბაბილონში,სადაც შეიქმნა პირველი ებრაული დიასპორა.დაიწყო ე.წ. „ბაბილონის ტყვეობა“. აქემენიანთა მიერ ბაბილონის დამხობის შემდეგ (ძვ.წ. 538) კიროს II-მიუდეველებს იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენების ნება დართო. ძვ.წ. IV ს-ში იუდეა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოში შედიოდა,მოგვიანებით კი რომის იმპერიის პროვინციად გადაიქცა.იუდეა საბოლოოდ ახ.წ. 70 წელს დაეცა,როდესაც რომაელმა სარდალმა ტიტუს ფლავიუსმა იერუსალიმი დაანგრია. ახ.წ.135წელს ებრაელები საბოლოოდ განდევნეს იერუსალიმისა და მისი მიმდებარე მიწებიდან. ამ ტერიტორიას რომაელბმა უწოდეს პალესტინა (philistine Syria -ჰეროდოტესაგან მომდინარე ტერმინი,რომლითაც“ისტორიის მამად“ წოდებული მემატიანე სირიის სამხრეთ ნაწილს

აღნიშნავდა),რათა „მოგონებაც კი წაეშალათ ებრაულ სამფლობელოზე „[5] რომაელები პალესტინას მე-4 საუკუნემდე მართავდნენ,ხოლო შემდეგ ის ბიზანტიის კონტროლის ქვეშ გადავიდა. იერუსალიმის აღების შემდეგ (638) არაბებმა ებრაელებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, სადაც მათ რომაელები/ბიზანტიელები წინა ხუთი საუკუნის განმავლობაში დასახლების უფლებას არ აძლევდნენ. ოსმალეთის მიერ პალესტინის დაპყრობის (1516) შემდეგ ებრაელთა მცირე ჯგუფების მოძრაობა ოსმალური პალესტინის მიმართულებით განუწყვეტელი პროცესი იყო.

„ბაბილონის ტყვეობიდან“ მოყოლებული (ძვ.წ. VI ს.), ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობდა მუდმივად მზარდ დიასპორაში (მესოპოტამია, სპარსეთი, ესპანეთი,საფრანგეთი,გერმანია,პოლონეთი,რუსეთი,აშშ და სხვ,;პირველი ებრაული კოლონია საქართველოში დადასტურებულია ძვ.წ. II ს-ში), ხოლო მცირე ნაწილი რჩებოდა პირვანდელ სამშობლოშიც.[6]

ისტორიულად, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პერიოდში, ებრაელები ხშირად განიცდიდნენ მასობრივ დევნასა და შევიწროვებას. ჯერ კიდევ 1215 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ დაავალდებულა ებრაელები ეტარებინათ სპეციალური სამოსი, აუკრძალა დაკავებული ყოფილიყვნენ ხელოსნობით და სათავე დაუდო ებრაელთა განცალკევების იდეას - ებრაულ გეტოებს. 1555 წლის პაპის ბულათი (Cum nimis absurdum) დაწესდა რელიგიური და ეკონომიკური შეზღუდვები ცენტრალური იტალიის ტერიტორიაზე (მასზე ვრცელდებოდა პაპის უფლებამოსილება 1870 წლამდე) მცხოვრები ებრაელებისათვის. 1558 წელს გამოცემული რამდენიმე კანონით

[5] Chertoff, M. S. (2000). *Zionism: a Basic Reader. გვ 20,83.* . New York: Routledge.

[6] Golden, J. M. (1994). *Ancient Canaan and Israel: An Introduction.* Oxford: Westview Press.
Slavicek, L. C. (1956). *Israel. 2nd ed. (Series, Creation of the modern Middle East.გვ: 7-28.* Philadelphia: Chelsea House. გაჩეჩილაძე, რ. (2011). *"ახლო აღმოსავლეთი".გვ: 427-431* თბილისი.

გამკაცრდა კონტროლი ებრაელებზე. XIX ს-ის დასაწყისიდან შუა ხანებამდე საფრანგეთსა და გერმანიაში ებრაელებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა და გაჩნდა ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციის იმედი. მრავალი ებრაელი გახდა ევროპული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი. მოძრაობა ჰასკალას (ებრაული განათლება) დამფუძნებელი და სულიერი ლიდერი გახდა ფილოსოფოსი და ეგზეტიკოსი, „გერმანელი სოკრატე“ მოსეს მენდელსონი რომლის იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა XIX ს-ში იუდაიზმის რეფორმაციაზე. 1791 წელს ებრელებმა მიიღეს მოქალაქეობა საფრანგეთში,ხოლო 1858 წელს-ინგლისში. „ემანსიპაციის“ კამპანია, ე.ი ებრაელების მიერ ყველა სამოქალაქო უფლების მიღება,თანდათანობით ძალას იკრებდა. თუმცა მალე ვითარება შეიცვალა. 1880-იან წლებში გერმანელმა ფილოსოფოსმა კარლ დიურინგმა გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები,რომლებიც მიმართული იყო ებრაელების წინააღმდეგ და მოუწოდებდა ევროპელებს ჩამოერთმიათ მათთვის სამოქალაქო უფლებები და გადაეყვანათ გეტოებში. მისი აზრით, „ებრაული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ხოცვის გზით“.[7]

1881 წლის 1 მარტს რადიკალური ორგანიზაცია ნაროდნაია ვოლიას ტერორისტული აქტის შედეგად მოკლულ იქნა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II, რაშიც ებრაელები დაადანაშაულეს. ამას მოჰყვა ებრაული პოგრომების (რბევა) ტალღა რუსეთში. „სამი დღე მთელი დასავლეთ რუსეთი, შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე, იყო ებრაული სახლების ნანგრევების კვამლში,“ 160 სოფელი ბარბაროსულად განადგურდა. „ასეთი სისასტიკე,როგორიც იმ დღეებში გამოვლინდა,უცნობი იყო შუა

[7] Golden, J. M. (1994). *Ancient Canaan and Israel: An Introduction.ვვ: 35.* Oxford: Westview Press.

საუკუნეებიდან დღემდე“[8] (B.Tuchman, 1984). თუმცა, ევროპაში ებრაელთა დევნის ყველაზე მძიმე ეტაპი დაიწყო ადოლფ ჰიტლერის მიერ საკონცენტრაციო ბანაკების შექმნითა და გაზის კამერების გამოყენებით. გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის მკვეთრად გამოხატულ ანტისემიტურ პოლიტიკას 1939-1945 წლებში შეეწირა დაახლ. 6 მლნ ებრაელის სიცოცხლე.

არაბ-ისრაელის კონფლიქტის საფუძვლების განხილვისას,აუცილებელია პალესტინის ებრაული კოლონიზაციის საკითხის განხილვა. XIX საუკუნის დასაწყისში პალესტინის ებრაული მოსახლეობა შეადგენდა დაახ. 5000 ადამიანს და ისინი ცხოვრობდნენ ძირითადად 4 ქალაქში- იერუსალიმი,საფედი(ცფათ),ტიბერია,ხებრონი. მართალია ებრაელებს არასდროს შეუწყვეტიათ :წმინდა მიწაზე“ ანუ პალესტინაში პატარა ჯგუფებად ჩასახლება,რადგან პალესტინა რჩებოდა ებრაულ საკულტო და კულტურულ ცენტრად, მაგრამ XIX ს-ის ბოლომდე ებრაული კერის ჩამოყალიბებისათვის პირობები არ არსებობდა და მათი კავშირი წმინდა მიწასთან დიდხანს აბსტრაქტულ იდეად რჩებოდა.

ეს იყო „ძველი მესიანური“ და „მითიური“ სიონიზმის ეპოქა ,როგორც აღნიშნავდა ამერიკელი მკვლევარი უოლტერ ლაკერი, „სონიზმის ისტორიის“ ავტორი[9]

ჯერ კიდევ პურიტანული რევოლუციის დროს ებრაელთა პალესტინაში დაბრუნების იდეამ მრავალი ინგლისელის ყურადღება მიიპყრო. ბარბარა თაჩმენი შენიშნავს,რომ ებრაელებს წმინდა მიწაზე დაბრუნებისაკენ პირველმა მოუწოდა სერ ჰენრი ფინჩმა 1621 წელს თავის ნაშრომში The World’s Great Restauration or Calling of the Jews and with Them of All Nations and Kingdoms of the Earth to the Faith of Christ. მან

---

[8] Tuchman, B. W. (1984). *Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour.* *გვ: 231-232.* New York: Ballantine Books.

[9] Lequeur, W. (1989.). *A History of Zionism.* New Yor.
Лакер В. История сионизма. Москва: Ладомир, 1. (1997). *История сионизма.* Москва: Ладомир.

„იწინასწარმეტყველა,რომ უახლოეს მომავალში ებრაელები აღადგენენ თავიანთ ბატონობას და შექმნიან მსოფლიო იმპერიას“ [10](B. Tuchman 1984).

სიონში (იერუსალიმის ბიბლიური სახელი) დაბრუნების ტრადიციულიმესიანური იდეა რაციონალიზებულ იქნა რაბინების- იუდა ალკალაის (1798-1878) და ცვი ჰირშ კალისჩერის (1795-1874) ნაშრომებში. ისინი იღვწოდნენ ებრაელთა კოლონიების დაარსებისათვის ერეც-ისრაელში. ინგლისელი პოლიტიკოსი ენტონი ეშლი კუპერ შეფთსბერი (მეშვიდე გრაფი შეფთსბერი, 1801-1885) იყო ქრისტიანული სიონიზმის მომხრე და „სული შთაბერა ევანგელიკურ მოძრაობას ინგლისის ეკლესიაში“. მან განაცხადა,რომ ინგლისელებს აქვთ განსაკუთრებული ვალდებულება ებრაელების წინაშე და ამიტომ უნდა მოაქციონ ისინი ქრისტიანობაზე და დააბრუნონ ბიბლიურ სამშობლოში.

“ მხოლოდ [ქრისტიანობაზე] მოქცევისას და ებრაელთა წმინდა მიწაზე დაბრუნების შემდეგ დადგება სამყაროს აღსასრული და გამოჩნდება მესია“[11]

შეფთსბერიმ ასევე შთააგონა ინგლისის სახელმწიფო მდივანი საგარეო საკითხებში ლორდი პალმერსტონი,რათა ბრიტანეთს არმოეჩინა მფარველობა პალესტინაში მცხოვრები ებრაელენისათვის. თუმცა ლორდი შეფთსბერის ინტერესები არ სცილდებოდა ქრისტიანული მოძღვრების ჩარჩოებს,რაზედაც მოწმობს ის ფაქტი,რომ ის ებრაელებში ხედავდა პოტენციურ ქრისტიანებს. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ პალესტინის ტერიტორიაზე შეიძლებოდა შექმნილიყო დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო,მაგრამ დარწმუნებული იყო,რომ ებრაელები,წმინდა მიწაზე დასახლებით,პალესინაში მიიტანდნენ ევროპულ ცივილიზაციას[12]

---

[10] Tuchman, B. W. (1984). *Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour.* New York: Ballantine Books.

[11] Fromkin, D. (1989). Tuchman, B. W. (1984). *Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour.* New York: Ballantine Books.

[12] Wagner, D. (1998). *Evangelicals and Israel Theological Roots of a Political Alliance. ,ვ3: 1020-1026.* The Christian Century.

ისტორიულ სამშობლოში ებრელთა დაბრუნების იდეა რეალურად გაჩნდა ჯერ კიდევ XVIII ს-ის ბოლოს. ცნობილია, რომ ნაპლეონ ბონაპარტე, ეგვიპტის ექსპედიციის (1798-1801)დროს ფიქრობდა იერუსალიმის სახელმწიფოს შექმნაზე. თავის მიმართვაში ის მოუწოდებდა ებრაელებს „აჯანყებულიყვნენ“ და „აღედგინათ სამოქალაქო უფლება იმ მიწის მოსახლეობას შორის,რომელსაც ისინი სამარცხვინოდ მოწყვიტეს ათასწლეულების მანძილზე“ [13]. შემდეგ ეს იდეა წინ წამოწიეს საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა.იყო ებრაელთა დასახლების მცდელობებიც პალესტინაში.

1.2 სიონიზმი

„ინგლისელების როლი ისრაელის აღორძინებაში... თავდაპირველად განისაზრვრებოდა ორი მოტივით: რელიგიურით და პოლიტიკურით. პირვლი გნაპირობებდა მორალური ვალის გრძნობას ბიბლიურ ხალხთან მიმართებაში, რომელსაც სჭირდებოდა ეს მიწა... ჯერ კიდევ მანამდე,სანამ ბრიტანეთი გახდებოდა იმპერია.ბიბლია... თომას ჰექსლის სიტყვებით, აღიქმებოდა როგორც „ ინგლისელთა ეროვნული ეპოსი“. შესაბამისად, ინგლისი უკვე იდგა ერთი ფეხით პალესტინაში, მეორე ფეხი კი აღმოჩნდა იქ იმოერიის მოთხოვნით“.

„ინგლისელებს მიმზიდველად ეჩვენებოდათ ევროპული ტიპის ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნა ახლო აღმოსავლეთში: „ კლიენტი სახელმწიფო“ შეიძლებოდა დახმარებოდა ინგლისს დაეცვა თავისი ინტერესები - მათ შორის შეენარჩუნებინა კონტროლი ევროპასა და აზიასთან დამაკავშირებელ სახმელეთო და საზღვაო გზებზე“[14]

---

[13] Tuchman, B. W. (1984). *Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour.* New York: Ballantine Books.

[14] Tuchman, B. W. (1984). *Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour.* New York: Ballantine Books.

ებრაელთა მოძრაობა სუვერენული, ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში და მიიღო სიონიზმის სახელწოდება.

ტერმინი სიონიზმი პირველად გამოიყენა ავსტრიელმა ჟურნალისტმა ნათან ბირნბაუმმა, 1885 წელს მის მიერ დაარსებულ ჟურნალში „თვითემანსიპაცია“ (Self-Emansipation) (ჯერ კიდევ 1882 წელს მან დაარსა ევროპული ეროვნული საძმო).

პოლიტიკური სიონიზმის ძირითადი ამოცანა იყო ებრაული სახელმწიფოს შექმნა. ავსტრიელ ჟურნალისტს თეოდორ ჰერცლს (1860-1904) ეკუთვნის ნაშრომი „სახელმწიფო ებრაელებისათვის“, რომელშიც მოცემულია პოლიტიკური სიონიზმის იდეოლოგიური ბაზისი.თეოდორ ჰერცლმა მხარი დაუჭირა ე.წ „უგანდის პროექტს“, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის მთავრობის ნებართვით უგანდაში უნდა შექმნილიყო ებრაული ავტონომიური დასახლება. თუმცა,ჰერცლი დათანხმდა ამ წინადადებას,როგორც დროებით ნაბიჯს,რაც გამოწვეული იყო რუსი ებრაელების უკიდურესად მძიმე მდგომარეობით და 1903 წლის კიშინიოვის დარბევით. თეოდორ ჰერცლის გარდაცვალებისთანავე ეს პროექტი უარყოფილ იქნა. აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა ებრაელთა დაბრუნებას შორეული წინაპრების მიწაზე - პალესტინაში.

1897 წლის 29 აგვისტოს თეოდორ ჰერცლის ინიციატივით ქ. ბაზელში მოწვეულ იქნა პირველი სიონისტური კონგრესი,სადაც მოხდა სიონიზმის,როგორც ებრაელთა მოძრაობის დაფუძნება. თეოდორ ჰერცლი და მისი მომხრეები დიდ მნუშვნელობას ანიჭებდნენ გადასახლებისათვის საერაშორისო იურიდიული ბაზის შექმნას. თეოდორ ჰერცლმა კონგრესზე განაცხადა: “სიონიზმის მიზანია პალესტინაში ეროვნული კერის შექმნა ებრაელთათვის, რომელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონი“[15]

კონგრესს ესწრებოდა დაახლ. 200 დელეგატი 17 ქვეყნიდან. 69 დელეგატი იყო სხვადასხვა სიონისტური ორგანიზაციიდან და დანარჩენი - ინდივიდუალური მოწვევით. მას ესწრებოდა აგრეთვე 10 არაებრაელი და 17 ქალი, რომელთაც არ ჰქონდათ ხმის

[15] Rollim, A. (2002).

უფლება (ქალებმა ეს უფლება მოიპოვეს მხოლოდ მეორე კონგრესზე). ბაზელის კონგრესზე შეთანხმდნენ, რომ დაეარსებინათ მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია,როგორც სიონისტური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო[16] .1897წლის შემდეგ კონგრესი ყოველწლიურად იკრიბებოდა. პირველი კონგრესის დამთავრების შემდეგ თეოდორ ჰერცლმა თავის დღიურში ჩაწერა :“ ბაზელში მე დავაფუძნე ებრაელთა სახელმწიფო“ [17]. მეორე სიონისტური კონგრესი ჩატარდა 1898 წელს და მას ესწრებოდა 350 დელეგატი, ხოლო სიონისტური მოძრაობის წევრთა რაოდენობამ ამ დროისთვის 900 მიაღწია[18] .

1889 წლიდან პალესტინაში უკვე ყოველთვიურად ჩადიოდა რამდენიმე ათეული ებრაელი, 1890 წლის გაზაფხულიდან - რამდენიმე ასეული და XX ს-ის დასაწყისისათვის პალესტინაში ებრაელთა რაოდენობა შეადგენდა 50 ათას ადამიანს (ძირითადად რეპატრიანტები აღმოსავლეთ ევროპიდან)[19]

პალესტინაში ებრაელთა მასობრივი იმიგრაცია აღინიშნება ტერმინით ალია, რომელიც დაიწყო 1881 წელს სიონისტური ორგანიზაციის ჰიბბატ ციონის ინიციატივით. 1896 წლმდე განხორციელდა 5ალია: 1. 1881-1903წწ.- გადასახლდა 25-30 ათასი ებრაელი,რომელთა უმრავლესობა იყო აღმოსავლეთ ევროპიდან. 2. 1904-1914წწ.-35-40 ათასი ებრაელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან,ძირითადად რუსეთიდან; 3. 1919-1923წწ.-37 ათასი ებრაელი,რომელთა ძირითადი ნაწილი იყო რუსეთიდან და პოლონეთიდან. მესამე ალიას სათავე დაუდო ბალფურის დეკლარაციამ და რუსეთის რევოლუციამ; 4. 1924-1928წწ.- 70 ათასი, ძირითადად პოლონელი ებრაელები და გადასახლების მთავარი მიზეზი იყო პოლონეთის მკაცრი

[16] Cleveland, W. L. (2004, 2009.). *A History of the Modern Middle East 3rd ed.* Boulde: Westview Press.

[17] Morris, B. (1999). *Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, გვ:1881-1999.* New-York: Alfred Knopf.

[18] Kamrava, M. (2005). *The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War.* Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.

[19] Mansfield, P. (1992). McDowall, D. (1975). *The Palestinians: Minority Rights Group Report No24.* London.

საგადასახადო პოლიტიკა; 5. 1929-1939წწ.- 200-225 ათასი ებრაელი,ძირითადად გერმანიიდან.[20]

საინტერესოა სიონისტების მიდგომა პალესტინის მკვიდრი მოსახლეობისადმი - არაბებისადმი, რადგანაც საკითხი „ვინ არის სინამდვილეში პალესტინის მკვიდრი“ ძირითადი ქვაკუთხედია ებრაელებსა და არაბებს შორის დაპირისპირებაში. ერთი მხრივ, ებრაელები ეყრდნობიან ებრაელი ხალხის უძველეს ისტორიას, რაც დაკავშირებულია პალესტინასთან და მეორე მხრივ, არაბები საუბრობენ წმინდა მიწაზე ყოფნის ათასწლეულზე მეტ ისტორიაზე.

XX ს-ის 40-იან წლებში იყო ორი ნაციონალისტური მოძრაობა: სიონიზმი, რომლის მიზანი იყო ებრაელებისათვის ეროვნული კერის შექმნა და პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი, რომელსაც სურდა ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. სწორედ ამ ორმა ნაციონალისტურმა ხრდვამ გამოიწვია კონფლიქტი ებრაელებსა და პალესტინლ არაბებს შორის.

„წარმოშობითა და თავისი არსით ... კონფლიქტი [ებრაელებსა და არაბებს შორის] მხოლოდ შედეგია ორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის- ებრაულის და პალესტინურის. დილემა იმაში მდგომარეობს,რომ,ერთი მხრივ, ებრაელები მიისწრაფვიან იბატონონ პალესტინაში,ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი უფლება იმავეზე აქვთ პალესტინელებს“ [21]

სიონისტური მოძრაობის ლიდერები განიხილავდნენ პალესტინასთან არაბების ურთიერთმიმართების საკითხს - ზოგიერთი სიონისტი უარყოფდა არაბული მოსახლეობის არსებობას, წამოწევდა ლოზუნგს „მიწა [პალესტინა] ხალხის გარეშე -

[20] Cleveland, W. L. (2004,2009). *A History of the Modern Middle East 3rd ed.* Boulde: Westview Press. Kamrava, M. (2005). *The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War.* Berkeley, Los Angeles, London: University of California Press. Tessler, M. (1994). *A History of the Israeli-Palestinian Conflict.* Bloomington: ndiana University Pres.

[21] Shlaim, A. (2000). *The Iron Wall: Israel and Arab World.* New York, London: W.W. Norton and Co.

ხალხი[ებრაელები] მიწის გარეშე“. ბოას ევრონი შენიშნავდა:“ პალესტინაში დიდხანს მცხოვრები ებრაელები არასოდეს ასე არ იტყოდნენ,მათ საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ, რომ პალესტინელები - ეს ხალხია და ამასთან ხალხი, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება“ [22].

ებრაული დასახლებები[ისრაელში] და ისრაელის სახელმწიფო წარმოიშვა და ვითარდებოდა პალესტინის არაულ მოსახლეობასთან და მის მხარდამჭერ მეზობელ არაბულ ქვეყნებთან მუდმივ ბრძოლის პროცესში. ეს პროცესი აყალიბებდა ასევე ხასიათს და თვითშეგნებას არაბებისა,რომლებიც დღეს თავის თავს თვლიან არამხოლოდ არაბებად,არამედ პალესტინელებადაც,თუმცა საკუთრივ პალესტინური ეროვნული თვითშეგნება მათ გაუჟდათ ჯერ კიდევ ამ ბრძოლის გამწვავებამდე

ისეთი ავტორები ,როგორიც არის ხაიმ ხისინი (ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი) აკრიტიკებდა ებრაელი კოლონისტების პოლიტიკას არაბულ მოსახლეობასთან მიმართებაში. ის წერდა:“[კოლონისტებისადმი] არაბების სიძულვილში თვითონ კოლონისტები არიან დამნაშავენი,მათ ეს დაიმსახურეს. ებრაელები ზედმეტად მაღალი აზრის არიან საკუთარ თავზე და ზედმეტად ქედმაღლურად უყურებენ არაბებს“ [23]

სიონისტებს სურდათ შეექმნათ „ებრაელთა სამშობლო“ პალესტინაში თურქების ან გერმანელების გამგებლობის ქვეშ.პალესტინაში ჩასახლებული ებრაელები ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს-კიბუცებს,მოგვიანებით ააშენეს ქალაქი თელ-ავივი.სწრაფად იზრდებოდა არაბული მოსახლეობაც. 1914წ. პალესტინის 700 ათასზე ოდნავ მეტი მოსახლეობიდან 615 ათასი არაბი, ხოლო 85-100 ათასი ებრაელი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპელებს არაბული და ებრაული ნაციონალიზმი ბუნებრივ მოკავშირეებად მიაჩნდათ. ომის საკითხებში ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი პორაციო ჰერბერტ კიტჩენერი (1850-1916) ომის დასაწყისში ფიქრობდა, რომ ომის

[22] Evron, B. (1995). *Jewish state or Israeli Nation?* Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press.

[23] Сакер, Г. М. (1994). *История Израиля ом возникновения сионизма до создания государства Израиля.Том 1.* Иерусалим: Библиотека Алия.

დასრულების შემდეგ ახლო აღმოსავლეთი უნდა დანაწილებულიყო ბრიტანეტს, საფრანგეთს და რუსეთს შორის, ხოლო პროექტის დეტალების დამუშავება მან მარკ საიქს დაავალა.მოგვიანეით შეიცვალა ვითარება და როგორც დ.ფრომკინი შენიშნავს, „ჩვენ ვხედავთ,რომ ბრიტანეთის 1914,1915 და 1916წწ. მთავრობა,რომელიც მიესალმებოდა რუსეთის და საფრანგეთის ყოფნას ომის შემდგომ ახლო აღმოსავლეთში როგორც ხიფათს და საფრანგეთის [გავლენას] რეგიონში როგორც უბედურებას.ჩვენ ვხედავთ 1917 წლის პროსიონისტებს,რომლებიც გადაიქცნენ ანტისიონისტებად 1921 და 1922 წელს; ფაისალის არაბული მოძრაობის მხარდამჭერებს, რომლებიც შემდეგ აუმხედრდნენ ფაისალს როგორც არასაიმედოს და მის ძმას,აბდალაჰს,როგორც უიმედოდ წარუმატებელს“[24]

1.3 ბალფურის დეკლარაცია და ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხი

ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა ბალფურის დეკლარაცია,სადაც ბრიტანეთის მთავრობა აცხადებდა მხარდაჭერას სიონისტური მიზნისადმი.1917 წლის 2 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ლორდმა ბალფურმა (1848-1930) გაუგზავნა საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი ბრიტანეთის ებრაული თემის წარმომადგენელს ლორდ როტშილდს.წერილის ტექსტის მიხედვით,დიდი ბრიტანეთი გამოხატავდა თავის კეთილგანწყობას პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნების თაობაზე [25]

2 ნოემბერი 1917 წ

ძვირფასო ლორდო როტშილდ,

[24] Fromkin, D. (1989).

[25] V., M. (1982). *The Balfour Declaration and its makers. In Kadourie E. and Haim S. (eds), Palestine and Israel in the 19th and 20th Centuries.* London: Oxford University Press.

ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გაადვილოს ამ მიზნის მირწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი,რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს,ანდა იმ უფლებებსა და პოლიიკურ სტატუსს,რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში“.

მადლობელი დაგრჩებით,თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.“

„არტურ ბალფური“[26]

ბალფურის დეკლარაციას,რომლის საბოლოო რედაქცია გარკვეული კომპრომისების შედეგია,იმთავითვე გარკვეული ხარვეზი ახლდა.იქ არიყო მითითებული ზუსტი ტერიტორია,სადაც უნდა დაესახლებინათ ებრაელები.გათვალისწინებული იყო ებრაელთა იმ ნაწილის მოსაზრება,რომელიც სიონიზმის ამ გეგმას“ღვთის გეგმის უზურპაციად“მიიჩნევდა,რადგან ისრაელი,მათი რწმენით,მხოლოდ მესიას უნდა აღედგინა,ებრაელების ჩასახლებას ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონოდა და მათ უნდა ჰქონოდათ უფლება შეენარჩუნებინათ სტატუსი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.დეკლარაციაში ლაპარაკია პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებაზე და არა მთელი პალესტინის გადაქცევაზე ასეთ კერად[27] .

---

[26] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press. გაჩეჩილაძე, რ. (2011). *"ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა).* თბილისი.

[27] Hertzberg, A. (2002.). *(ed .). The Zionist Idea: A Historical Analysis and Reader.* Oxford: Ospre.

ნაჰუმ გოლდმანი (1895-1982), მსოფლიო ებრაული კონგრესის ყოფილი პრეზიდენტი,რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში,წერდა: „რამდენად კანონიერიც არ უნდა იყოს მისი მოთხოვნები, სიონისტურმა მოძრაობამ არ უნდა დაივიწყოს,რომ საყოველთაოდ მიღებული პრინციპის მიუხედავად,სინამდვილე ასეთია - ესა თუ ის ტერიტორია ეკუთვნის მოსახლეობის იმ ჯგუფს,რომელიც წარმოადგენს უმრავლესობას. სხვა სიტყვებით, იდეოლოგიური და ეთიკური თვალსაზრისით, და პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც, სიონისტებს თავიდანვე უნდა ეცადათ მიეღწიათ ურთიერთგაგებისათვის არაბულ სამყაროსთან“[28] .

გაჩეჩილაძე, რ. (2011). *"ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა).* თბილისი.ნ., ხ. (2003). *ისრაელის სამოუკიდებლობის დეკლარაცია-1948 წლის 14 მაისი. კრ.-ში ვალერიან გაბაშვილი- 90.* თბილისი.

[28] Berger, E. (1974). *The Real Issues in the Arab-Israeli-Zionist Conflict in Smith Gary V. (ed). Zionism, the Dream and the reality: A Jewish Critique,.* New York: Barnes and Noble.

თავი II

ბრიტანული მანდატი და ისრაელის სახელმწიფოს შექმნა

2.1 რევიზიონისტული მოძრაობა

1917 წლის 11 დეკემბერს იერუსალიმში შევიდა ბრიტანეთის არმია გენერალ ედმუნდ ალენბის მეთაურობით,1920 წლის 1 ივლისს იერუსალიმი ოფიციალურად გახდა ბრიტანეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის ცენტრი.ბრიტანეთის უმაღლეს სამოქალაქო კომისრად დაინიშნა ჰერბერთ სემუელი.1922 წლის 24 ივლისს სან რემოს საერთაშორისო კონფერენციაზე დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ერთა ლიგის მანდატი პალესტინის მართვაზე.მანდატის ტერიტორია უფრო დიდი იყო, ვიდრე სიონისტების მიერ განხილული ისტორიული პალესტინა. იმ დროისათვის პალესტინაში 85 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ბრიტანეთისათვის მინიჭებული მნდატი მდინარე იორდანეს არმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ტრანსიორდანიის მთელ ტერიტორიასა და დასავლეთ სანაპიროს მიწებს მოიცავდა.1922 წელს ბრიტანეტის სახელმწიფო მდივანმა კოლონიების საკითხში უინსტონ ჩერჩილმა,ამირა აბდალაჰის(შემდგომში მეფე) მმართველობის ქვეშ ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე საამირო შექმნა,რომელიც მოგვიანებით იორდანიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს იქცა[29].სიონისტების ჯგუფი თავს მოტყუებულად თვლიდა , რადგან დიდი ნაწილი იმისა,რასაც ისინი“ისტორიულ პლესტინას“ უწოდებდნენ, ტრანსიორდანიას მიეცა, და მათ ჩამოაყალიბეს „რევიზიონისტული“ მოძრაობა,რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსი ებრაელი ჟურნალისტი ვლადიმირ ჟაბოტინსკი (1880-1940). მისი, როგორც სიონისტი-

[29] ხ., ჰ. (2007). *ისრაელ-არაბების ომები.* თბილისი.

რევიზიონისტის აზრით,ებრაელთა სახელმწიფო მდ. იორდანეს ორივე - დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს უნდა ყოფილიყო[30]

ჯერ კიდევ 1925 წელს ვ.ჯაბოტინსკი წერდა:

„თითოეულმა არაბმა უნდა იცოდეს სიმართლე - „არც ძალით,არც საპარლამენტო აქტებით, არც ღვთიური სასწაულით შენ (არაბო) ვერ მოახერხებ შეუშალო ერეც-ისრაელის ნაბიჯ-ნაბიჯ გარდაქმნას ქვეყნად უპირატესი ებრაული მოსახლეობით“ [31].

მანდატის თანახმად, დიდი ბრიტანეთი იღებდა ვალდებულებას ხელი შეეწყო ებრაელთა იმიგრაციისათვის და შეექმნა ისეთი პოლიტიკური,ადმინისტრაციული და სამეურნეო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდა პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის დაარსებას[32]. ბრიტანულმა სამოქალაქო ხელისუფლებამ შექმნა იერუსალიმში ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები, ხოლო 1924 წელს პირველად იქნა არჩეული სამოქალაქო საბჭო,რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ოთხ-ოთხი წარმომადგენელი სამი რელიგიური თემიდან 9 მუსლიმური, ქრისტიანული და ებრაული).

XX საუკუნის დასაწყისიდან ებრაულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მიწების შესყიდვა პალესტინაში . მიწის დიდი ნაკვეთები ეკუთვნოდათ არა მხოლოდ პალესტინელ არაბებს, არამედ ფეოდალებს სირიიდან და ლიბანიდან, რომლებიც ყიდდნენ პალესტინის მიწის ნაკვეთებს სიონისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებზე . არაბი მიწათმფლობელებისათვის ხელსაყრელი იყო მიეყიდათ ეს მიწები ებრაელებისათვის, ვიდრე მიეცათ ის არენდით თავისი თანატომელებისათვის . ამ

[30] Wilson, M. (1987.). *King Abdullah, Britain and the Making of Jordan.* Cambridge: Cambridge University Press.

[31] Kumaraswamy, P. (2009). *The A to Z of the Arab-Israeli Conflict.* The Scarecrow Press, Inc.

[32] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.

მიწების 1/3-ზე მეტი გაიყიდა ებრაელებზე ჯერ კიდევ ბალფურის დეკლარაციის გამოქვეყნებამდე. არაბებს იმ მომენტში არ ესმოდათ პალესტინაზე სიონისტური პრეტენზიების ჭეშმარიტი არსი, ვერ ხედავდნენ საფრთხეს სიონისტების მიერ პალესტინური მიწების ყიდვაში. ამას მხოლოდ მოგვიანებით მიხვდნენ, როცა 1930- იან წლებში სამანდატო პალესტინის ტერიტორიაზე გახშირდა შეტაკებები არაბებსა და ებრაელებს შორის, ასევე პალესტინელთა შეიარაღებული გამოსვლები ბრიტანეთის კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ (განსაკუთრებით „პალესტინის აჯანყების“ წლებში-1936-1939). არაბებს და ებრაელ ახალმოსახლეებს შორის შეტაკებებს ჰქონდა როგორც სოციალ-პოლიტიკური ისე კულტურული სარჩული. ებრაელები უყურებდნენ არაბებს როგორც ველურ აბორიგენებს, ხოლო არაბები კი ხედავდნენ ებრაელებში ევროპელ კოლონიზატორებს. [33]

2.2 პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაცია და სიონისტების აქტიურობა

XX ს.-ის 30-იან წლების მიწურულს არაბთა უკმაყოფილების ზრდის ფონზე დიდი ბრიტანეთის პოზიციამ სერიოზული ცვლილება განიცადა: ერთი მხრივ, ინგლისელებს ესმოდათ, რომ არაბებსა და არ შეეძლოთ გაეყოთ პალესტინა, რადგანაც ორივე მხარე მას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა. მეორე მხრივ, გერმანიისა და იტალიის გაძლიერება აიძულებდა ინგლისელებს წინდახედულად ემოქმედათ არაბებთან მეორე მსოფლიო ომის წინ, რომელშიც ახლო აღმოსავლეთი საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ ასპარეზად შეიძლებოდა ქცეულიყო.

1937 წელს ლორდ პილის სამეფო კომისიამ გამოიტანა ინგლისელთათვის არასაიმედო დასკვნები: სამანდატო რეჟიმს არ შეუძლია მოაგვაროს გაღრმავებული კონფლიქტი პალესტინელბსა და ებრაელებს შორის. თავის დასკვნაში კომისია

[33] Khalidi, R. (1997.). *Palestinian Identity: The Construcion of Modern National Consciousness. .* New York: Columbia University Press.

იძლეოდა რეკომენდაციას მოეწვიათ კონფერენცია პალესტინაში ებრაული და არაბული თემების ხელმძრვანელების მონაწილეობით.[34]

პილის კომისიის დასკვნები:

-კონფლიქტი არ შეიძლება გადაწყდეს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში;

- პალესტინა უნდა გაიყოს ორ - არაბულ და ებრაულ ნაწილებად, მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე,დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე;

- ებრაულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს გალილეის დიდი ნაწილი სანაპირო ზოლი თანამედროვე აშდოდამდე (პალესტინის ტერიტორიის 20%). არაბებმა უნდა მიიღონ მდ. იორდანეს დას. სანაპირო, ნეგევი,ღაზას მიდამოები. უნდა შეიქმნას ერთიანი არაბული სახეკმწიფო,რომელშიც შევა ტრანსიორდანიაც;

- ებრაელი თემისათვის გამოყოფილი ტერიტორიების ფარგლებში იკრძალება მიწების შეძენა;

- უნდა შეეზღუდოს [ებრაელთა] იმიგრაცია 8 ათასამდე 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის 8 მარტამდე პერიოდში;

- ინგლისის კონტროლ ქვეშ უნდა დარჩეს იერუსალიმი, ბეთლემი და დერეფანი, რომელიც აკავშირებს იერუსალიმს იაფასთან. ასევე ვიწრო ზოლი აკაბას ყურის ჩრდილო დასავლეთით და შესაძლოა, ქ. ნაზარეთი.

სენტ-ჯეიმზის კონფერენცია,რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც არაბებმა, ისე ებრაელებმა, დაიწყო ლონდონში 1939 წლის თებერვალში, ხოლო 17 მაისს გამოქვეყნდა ბრიტანეთის კოლონიების მინისტრის მალკოლმ მაკდონალდის ანგარიში ბრიტანეთის პარლამენტისადმი, რომელიც ისტორიაში შეივიდა მაკდონალდის „თეთრი წიგნის“ სახელწოდებით.. ფაქტობრივად „თეთრი წიგნი“ გახდა ბალფურის დეკლარაციის რევიზია. მასში იყო წინადადებები შეექმნათ 10 წლის

[34] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.

განმავლობაში დამოუკიდებელი სახელმწიფო პალესტინაში არაბული უმრავლესობით , უახლოესი 5 წლის განმავლობაში კი პალესტინაში შემოსვლის ნება დაერთოთ არაუმეტეს 75 ათასი იმიგრანტი- ებრაელისათვის,შეეზღუდათ მიწების ყიდვა ებრაელების მიერ. ფაშისტური გერმანიის მიერ ევროპაში ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პირობებში, სიონისტებმა „თეთრი წიგნი“ უაღრესად ნეგატიურად მიიღეს. პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის წინააღმდეგ გაჩაღდა ტერორისტული საქმიანობა, რომელიც არ შეწყვეტილა მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა ომის პერიოდში არაბები და ებრაელები მეტნაკლებად მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.[35]

ბრიტანული წყაროები აღშფოთებით აღწერენ სიონისტების ტერორისტულ საქმიანობას პალესტინაში,ხაზს უსვამენ, რომ ის ასუსტებდა დიდ ბრიტანეთს, რომელიც ომს აწარმოებდა გერმანიასა და იტალიასთან: „ 1942 წელს სიონისტი ექსტრემისტების მცირე ჯგუფი აბრაჰა შტერნის ხელმძღვანელობით ცნობილი გახდა იმით ,რომ აწყობდა თელ-ავივის რაიონში მთელ რიგ პოლიტიკურ მკვლელობებს და ძარცვებს.სიონისტების მიერ განხორციელებულ ტერაქტებს შორის ყველაზე გახმაურებული იყო 1946 წლის 22 ივლისს იერუსალიმში სასტუმრო „ მეფე დავითის“ აფეთქება, სადაც განლაგებული იყო პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის მმართველობა, სამხედრო ოფისები და ფრანგული საკონსულო.350 კილოგრამიანი ბომბის აფეტქების შედეგად დაიღუპა 91 და დაიჭრა 45 ადამიანი [36].

ებრაელ ახალმოსახლეთა რიცხვი კი პალესტინაში მაინც იზრდებოდა. აქ ათი ათასობით იმიგრანტი ცადიოდა არალეგალურად. თუ პირველი მსოფლიო ომის

[35] Cleveland, W. L. (2004,2009). *A History of the Modern Middle East 3rd ed.* Boulde: Westview Press. Laqueur, W. a. (1995). *(eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict.* New York: Penguin Books.

[36] Kamrava, M. (2005). *The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War.* Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.

შემდეგ ებრაელები შეადგენდნენ პალესტინის მოსახლეობის 1/10-ზე ნაკლებს, 1947 წლისათვის ისინი უკვე შეადგენდნენ თითქმის მესამედს.

როგორც აღინიშნა, ინგლისელები შიშობდნენ, რომ არაბები მხარს დაუჭერდნენ გერმანიას. „თეთრი წიგნი“ სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილების მცდელობა იყო. ჰოლოკოსტმა კი -ებრაელთა მასობრივმა განადგურებამ II მსოფლიო ომის დროს, ბევრისთვის გახადა ნათელი ებრაელების სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.

ბრიტანელების „ორპირობა“ არ აწყობდათ სიონისტებს, რომლებიც ელოდნენ უფრო აქტიურ მხარდაჭერას დიდი ბრიტანეთის მხრიდან ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხში. ამ პირობებში სიონისტები შეეცადნენ აშშ-ს მხარდაჭერის მოპოვებას. 1942 წლის 11 მაისს ებრაული სააგენტოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სხდომაზე ნიუ იორკის სასტუმრო „ბილტმორში“ ოფიციალურად გაახმოვანა ე.წ „ბილტმორის პროგრამა“. მისი მიზანი იყო პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შეუზღუდავი იმიგრაციის გზით. ფაქტობრივად, ბილტმორის შეხვედრა ნიშნავდა პრიორიტეტების ცვლას სონისტური მოძრაობის პოლიტიკური მოკავშირეების არჩევაში- დიდი ბრიტანეთი შეცვალა აშშ-მა. ამერიკელები,თავის მხრივ, მზად იყვნენ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში, მათ შორის პალესტინის საკითხის გადაწყვეტაშიც.ომის შემდგომ მალევე შეიქმნა ინგლისურ-ამერიკული კომიტეტი,რომელსაც დეტალურად უნდა შეესწავლა სიტუაცია პალესტინაში. კომიტეტის საქმიანობის შედეგებმა შეაშფოთა სიონისტები- უახლოეს დროში პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების იდეა შეუძლებლად დასახელდა იმის გამო, რომ მტრობა პალესტინელ არაბებსა და ებრაელებს შორის გამოიწვევდა სამოქალაქო ომს. პალესტინის,მანდატის დასრულების შემდეგ, უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მზრუნველობის ქვეშ.კომიტეტმა აგრეთვე რეკომენდაცია მისცა შეეცვალათ „თეთრი წიგნის“ დებულებები და ნება დაერთო 100 ათასი ებრაელისათვის დასახლებულიყო პალესტინის ტერიტორიაზე. თუმცა, კომიტეტის ყველა რეკომენდაცია მიღებული იყო მხოლოდ ცნობად ბრიტანეთის მთავრობის მიერ.მოწვეულმა ლონდონის კონფერენციამ ხელი ვერ შეუწყო

პალესტინის საკითხის გადაწყვეტას.ორივე მხარის მკაცრმა პოზიციამ გამოიწვია ის,რომ დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა უარი ეთქვა მანდატზე და გადაეცა პალესტინის პრობლემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.[37]

პალეტინის საკითხზე გადაწყვეტილების მირება დაევალა გაერო-ს სპეციალურ კომისიას პალესტინაზე (United Nations Special Committee on Palestine) , რომელიც შეიქმნა 1947 წ. 15 მაისს და მასში შევიდნენ 11 ქვეყნის - ავსტრალიის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, გვატემალის, ინდოეთის, ირანის, ნიდერლანდების, პერუს, შვეციის, ურუგვაის და იუგოსლავიის წარმომადგენლები .15 ივნისს კომისია ჩავიდა პალესტინაში სიტუაციის ადგილზე შესასწვლად და დაჰყო იქ 5 კვირა. კომისიამ გამოავლინა, რომ ებრაელები კვლავ უმცირესობას შეადგენდნენ. 1947 წლის 31 აგვისტოს სპეციალურმა კომისიამ წარადგინა გაერო-ში თავისი მოხსენება,რომელშიც იყო მთელი რიგი რეკომენდაციები: პალესტინაზე მანდატის შეცვლა, პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება და სხვა. ერთდროულად წარდგენილ იქნა პალესტინის მომავალი მოწყობის 2 გეგმა, რომლებიც ლიტერატურაში პირობითად იწოდება „უმრავლესობის გეგმად“ და „უმცირესობის გეგმად“.

„უმრალესობის გეგმა’,რომელიც მოიწონეს კანადის, ჩეხოსლოვაკიის, გვატემალის, ნიდერლანდების, პერუს,შვეციის, და ურუგვაის წარმომადგენლებმა, ითვალისწინებდა პალესტინის დაყოფას ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ- არაბულად (მიწების 60%) და ებრაულად (მიწების 40%).იერუსალიმი გადადიოდა გაერო-ს მეურვეობის ქვეშ. გარდამავალ პერიოდში,რომელიც 2 წელი უნდა გაგრძელებულიყო,პალესტინაზე მართვა ხორციელდებოდა დიდი ბრიტანეთის მიერ, გაერო-ს ზედამხედველობის ქვეშ.

„უმცირსობის გეგმა“,რომელიც მოიწონეს იუგოსლავიამ, ინდოეთმა და ირანმა ითვალისწინებდა ერთიანი ფედერალური სახელმწიფოს შექმნას და ის შედგებოდა არაბული და ებრაული შტატებისაგან დედაქალაქით იერუსალიმში.ის უნდა ემართა იქ

[37] Cleveland, W. L. (2004,2009). *A History of the Modern Middle East 3rd ed.* Boulde: Westview Press. Laqueur, W. a. (1995). *(eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict.* New York: Penguin Books.

მცხოვრებთა უმრავლესობას-მუსლიმ არაბებს (პალესტინაში იმ დროს ცხოვრობდა 600 ათასი ებრაელი და 1,25 მლნ არაბი,რომელთა 90% იყო მუსლიმი).[38] სიონისტურმა მოძრაობამ უარყო უმცირესობის გეგმა (ისე როგორც დასავლეთმა და საბჭოთა კავშირმა). თუმცა, პალესტინის საკითხის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-ის სა სსრკ-ის პოზიციებს.

1947 წ 29 ნოემბერს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია N181(II) პალესტინის დაყოფაზე ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ,ხოლო იერუსალიმის ცალკე რაიონად გამოყოფაზე. ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი. როგორც ებრაული,ისე არაბული ახელმწიფო რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და ანკლავები უნდა ჰქონოდა[39] .

ებრაულ სახელმწიფოს გადაეცემოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის დაახლ. 56,47%, არაბულს -43,53%. იმ მომენტსი პალესტინაში ცხოვრობდა დახლ.650 ათასი ებრაელი და 1200 ათასი არაბი. ამასთან, ებრაულმა სახელმწიფომ მიიღო ეკონომიკურად უფრო განვითარებული ტერიტორია, რომელსაც ჰქონდა გასასვლელები ხმელთაშუა ზღვაზე და წითელ წღვაზე- ქ. ისდუდის (დღევანდელი აშდოდი) ჩრდილოეთით ქ. ხაიფამდე; ზემო გალილეის დიდი ნაწილი,თითქმის მთელი ნეგევი (ბირ-სა-ბას, დღევანდელი ბერ-შევას (ბეერშება), გარეშე) და გასასვლელი აკაბას ყურეში.

არაბულ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა გასასვლელი ზღვაზე ქ. აკოდან ჩრდილოეთით,ლიბანის საზღვრამდე დ სამხრეთით- ქ. ისდუდი, მაჯდალი (დღევანდელი აშკელონი) და ღაზა ეგვიპტის საზღვრამდე; არაბული სახელმწიფო

---

[38] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.
Laqueur, W. a. (1995). *(eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict.* New York: Penguin Books.

[39] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.
Laqueur, W. a. (1995). *(eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict.* New York: Penguin Books.

უნდა ყოფილიყო დასავლეთ გალილეა ქ. ნაზარეთითურთ, ქ. რამლა, ლიდა (დღევანდელი ლოდი), პროვინცია სამარია და იუდეა მკვდარ ზღვაზე გასასვლელით; ქ. ჯაფა (დღევანდელი იაფო) არაბული ანკლავი უნდა გამხდარიყო [40].

გაეროს ამ რეზოლუციას დღემდე მნნიშვნელოვანი ადგილი უკავია პალესტინის პრობლემის მოგვარების საერთაშორისო-სამართლებრივ ისორიაში. აღსანიშნავია აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის (1945-1953) პოზიცია: „ბოდიშს ვიხდი,ბატონებო,მე უნდა გავცე პასუხი ასობით ათასს,რომელთაც სურთ სიონიზმის წარმატება. მე არ მყავს ასობით ათასი არაბი ჩემს ამომრჩევლებს შორის“ ჰარი ტრუმენს ეკუთვნის აგრეთვე სიტყვები : ქვეყნის გაყოფა ორ სექტორად „გზას გაუხსნის არაბებისა და ებრაელების მშვიდობიან თანაარსებობას’“[41] თუმცა, ამას მშვიდობა არ მოჰყვა. ვინაიდან მიღწეული არცერთ მხარეს არ ამაყოფილებდა. 1948 წელს მენაჰიმ ბეგინი აცხადებდა, რომ „სამშობლოს გაყოფა უკანონოა“. ის არასოდეს იქნება აღიარებული.... ეს არ შეკრავს ებრაელ ხალხს. იერუსალიმი იყო და სამუდამოდ იქნება ჩენი დედაქალაქი. ერეც ისრაელი იქნება აღდგენილი ისრაელის ხალხისთვის მთლიანად და სამუდამოდ „[42].

გაერო-ს გადაწყვეტილებით,ინგლისური მანდატის ვადა იწურებოდა 1948 წლის 15 მაისს. ამიტომ ინგლისელები მიისწრაფოდნენ გამოეყენებინათ დრო საკუთარი ამოცანების გადასაყვეტად,რომელთაგან ძირითადი იყო პალესტინაში გავლენის შენარჩუნება, პალესტინის არაბული ნაწილის შეერთება ტრანსიორდანიასთან. არსებობს აზრი,რომ ინგლისური ადმინისტრაცია არაბულ-ებრაული შეტაკებების ინსპირირებას ახდენდა,რათა წაეშალა გაეროს გადაწყვეტილება პალესტინის დაყოფაზე. ასეთი ფაქტის დადასტურება ან უარყოფა ძნელია,თუმცა შეიძლება იმის განცხადება, რომ ინგლისის ადმინისტრაციის პასიურობამ გამოიწვია პალესტინაში

---

[40] გაჩეჩილაძე, რ. (2011). *"ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა).* თბილისი.

[41] Lilienthal, A. M. (1974.). *Israel is Created Smith Gary V. (ed). Zionism, the Dream and the Reality: A Jewish Critique.* New York: Barnes and Noble.

[42] Chomsky, N. (1999). *Fateful Triangle : The united states, Israel and the Palestinians (updated edition).* London: Pluto Press,.

სიტუაციის გამწვავება.ოფიციალურდ ინგლისი ხაზს უსვამდა თავის ნეიტრალურ პოზიციას და სურვილს უზრუნველეყო მშვიდობა პალესტინაში. თუმცა, პალესტინის დაყოფაზე გაერო-ს გადაწყვეტილებების მიღების მომენტიდან ინგლისის მანდატის დასრულებამდე პალესტინის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ამ ომის ერთ-ერთი სასტიკი ეპიზოდი იყო ხოცვა-ჯლეტა არაბულ სოფელ დაირ-იასინში 1948წ. 9 აპრილს, რაც განახორციელეს ლეჰის და ირგუნის ებრაელთა არარეგულარული რაზმების ბოევიკებმა. სოფლების შტურმისა და შემდეგი ანგარიშსწორების დროს მოსახლეობასთან, დაიღუპა დაახლ.250 პალესტინელი,მათ შორის ქალები და ბავშვები.[43] ამ მოვლენას მოჰყვა პალესტინიდან არაბთა მასობრივი იმიგრაცია.არაბთა საპასუხო ქმედებამ არ დააყოვნა და 13 აპრილს ისინი თავს დაესხნენ იერუსალიმში საავადმყოფოს და დახოცეს 79 ადამიანი-ექიმები,მოწყალების დები და სტუდენტრბი. ინგლისელი სამხედროები,რომლებიც იმყოფებოდნენ დაახლოებით ორასი მეტრის მოშორებით სისხლიანი შეტაკების ადგილიდან,არ ჩაერივნენ[44].

1948 წლის 14 მაისს (ერთი დრით ადრე მანდატის ამოწურვამდე) პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ გურიონმა გამოაცხადა ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გაეროს 181-ე რეზოლუციით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. ბენ გურიონი თავის დღიურში წერდა: „შუადღის 4 საათზე ებრაელთა დამოუკიდებლობა გამოცხადდა და [ისრაელის] სახელმწიფო დაფუძნდა... მისი ბედი სამხედრო ძალების ხელშია“[45] იმავე საღამოს ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა აღიარა ებრაელთა სახელმწიფოს

---

[43] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.
Milstein, U. (1991.). *The War of Independence. Vol. IV: Out of Crisis Came Decision.* Tel-Aviv: Zmora-Bitan Publishers.

[44] Cleveland, W. L. (2004,2009). *A History of the Modern Middle East 3rd ed.* Boulde: Westview Press.
Rollim, A. (2002).

[45] Bregman, A. (2000). *Israel's Wars, 1947-1993.* London and New York: Routledge.

არსებობა დე ფაქტო, ხოლო სსრკ-მა 18 მაისს ისრაელის მიმართვის პასუხად, აგრეთვე ცნო დე ფაქტო და ამასთანავე დე იურედ- 25 მაისს [46].

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში(შედგება სამი ნაწილისაგან), რომელიც შეიმუშავეს მარალკვალიფიციურმა იურისტებმა და ხანგრძლივი დებატების შედეგად დაამტკიცა სახალხო საბჭომ,გადმოცემულია ისრაელის სახელმწიფოს მოწყობის ძირიტადი პრინციპები.

[...] 1947 წლის 29 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ერეც-ისრაელში.

[...] ებრაელ ხალხს,ისე როგორც ნებისმიერ სხვა ხალხს,აქვს ბუნებრივი უფლება იყოს დამოუკიდებელი თავის სუვერენულ სახელმწიფოში.

[...] ისრაელის სახელმწიფო ღია იქნება რეპატრიაციისათვის და მასში მთელ სამყაროში გაფანტული ებრაელების გასაერთიანებლად; ისინი ყოველ დონეს იხმარენ ქვეყნის განვითარებისათვის თავის ყველა მცხოვრების საკეთილდღეოდ... ის განახორციელებს თავის მოქალაქეების სრულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თანასწორობას,რელიგიის,რასის, ან სქესის მიუხედავად. ის უზრუნველყოფს აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას,მშობლიური ენის სარგებლობის უფლებას,განათლებისა და კულტურის უფლებას.ის დაიცავს ყველა რელიგიის წმინდა ადგილებს და გაერო-ს ქარტიის პრინციპების ერთგული იქნება.

ისრაელის სახელმწიფო აცხადებს თანხმობას ითანამშრომლოს გაერო-ს ორგანოებთან და წარმომადგენლებთან,რათა ცხოვრებაში გაატაროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია და მიიღოს ზომები მთელი ერეც-ისრაელის ეკონომიკური ერთობის განსახორციელებლად[...].

---

[46] ნ., ხ. (2003). *ისრაელის სამოუკიდებლობის დეკლარაცია-1948 წლის 14 მაისი. კრ.-ში ვალერიან გაბაშვილი- 90.* თბილისი.

ვუხმობთ არაბი ხალხის შვილებს,ვინც ცხოვრობენ ისრაელის სახელმწიფოში... მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოს მშენებლობაში სრული სამოქალაქო თანასწორობის საფუძველზე და შესაბამისი წარმომადგენლობით ყველა მის დროებით და მუდმივ დაწესებულებაში.

[...] ისრაელის სახელმწიფო მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს მთელი ახლო აღმოსავლეთის განვითარების საერთო საქმეში [...].[47]

2.3 ისრაელის თავდაცვითი პოლიტიკის გაძლიერება

ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ,ბრიტანელები გავიდნენ პალესტინიდან. 1948 წლის 15 მაისს ხუთი არაბული ქვეყნის (ეგვიპტე, ტრანსიორდანია, ლიბანი, სირია და ერაყი) ჯარები, რომლებიც მიისწრაფოდნენ არ დაეშვათ ებრაული სახელმწიფოს შექმნა, შევიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე. დაიწყო ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირველი ომი, რომელმაც ისრაელში მიიღო სახელწოდება „ომი დამოუკიდებლობისათვის“ ხოლო არაბულ ქვეყნებში - „პალესტინური ომები“. ომში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ, მაგრამ მათი შეიარაღებული ძალები, იორდანიის არმიის გამოკლებით, წარმოადგენდნენ არაორგანიზებულ და ცუდად შეიარაღებულ ფორმირებას.

ომი გაგრძელდა1 წელი, 3 თვე და 10 დღე. ს ომი ისრაელს დაუჯდა 500 მლნ აშშ დოლარი, ხოლო არაბებს - 300 მლნ აშშ დოლარი. ომის შედეგები არ იყო მანუგეშებელი არაბებისათვის.გაერო-ს გადაწყვეტილების მიუხედავად, პალესტინის ტერიტორიაზე არაბული სახელმწიფო არ შექმნილა - ისრაელმა ოკუპირება მოახდინა პალესტინის ტერიტორიის თითქმის 77 %-ისა, ისე როგორც იერუსალიმის დიდი

[47] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.
Laqueur, W. a. (1995). *(eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict.* New York: Penguin Books.

ნაწილის, დანარჩენი მიიტაცეს იორდანიამ და ეგვიპტემ. ომის შედეგად, ისრაელის ტერიტორია გაიზარდა 46,6%-ით [48].

არაბული ქვეყნების მოქმედებებში ერთიანობის არქონამ, როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკურ დონეზე, გამოიწვია მათი დამარცხება. ამ მარცხის შედეგად მათი მთავარი მიზანი- არ დაეშვათ ისრაელის სახელმწიფოს შექმნა - განუხორციელებელი დარჩა: არაბული არმიები დამარცხდა, ხოლო ისრაელი არათუ „არ აღიგავა გეოგრაფიული რუკიდან", არამედ გაზარდა კიდეც თავისი ტერიტორია (სულ 1300 კმ2 და 112 დასახლებული პუნქტი); ისრაელის სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებებს თითქმის ყველა მოსაზღვრე არაბულ ქვეყნებთან; პალესტინის სახელმწიფო არ შექმნილა; პალესტინელი არაბების დიდი ნაწილი ლტოლვილებად იქცა;წარსულში ჩაბარდა იდეა იერუსალიმზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

დამოუკიდებლობის ომში გამარჯვების შემდეგ პირველად იქცა რეალობად მსოფლიოს ყველა ებრაელის შეუზღუდავი უფლება ისრაელის იმიგრაციაზე.

„სიონისტების ოცნება- ქვეყნის დეარაბიზაცია, მისი გადაქცევა ქვეყნიდან უპირატესი არაბული მოსახლეობით ქვეყნად უპირატესი ებრაული მოსახლეობით, ახდა 1948 წელს, როდესაც 750 ათასი პალესტინელი, ისრაელის სახელმწიფოს მფლობელობაში გადასულ ტერიტორიაზე [მცხოვრები] არაბი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტი, დევნილად იქცა."

„[პალესტინელების]მესამედი გაიქცა შიშის გამო,მესამედი-გააძევეს ისრაელიდან ძალის გამოყენებით,მესამედი-დაარწმნეს წასვლის აუცილებლობაში".

აღმოსავლეთ იერუსალიმი,რომელიც ისრაელელებმა დაიპყრეს 1948 წლის ომის დროს,თითქმის მთლიანად ებრაული გახდა,რამაც საშუალება მისცა დავიდ ბენ გურიონს, ისრაელის პემიერ-მინისტრად გახდომის შემდეგ, განეცხადებინა : „მას

[48] Bregman, A. (2000). *Israel's Wars, 1947-1993.* London and New York: Routledge.

შემდეგ,რაც იერუსალიმი დაანგრიეს რომაელებმა (ახ.წ. 131), ის არ ყოფილა ისეთი ებრაული, როგორიც ის გახდა ახლა“ [49]

ისრაელის სამხედრო წარმატებები ხელს უწყობდა მის აღიარებას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ,შეიმჩნეოდა ურთიერთობის გაუმჯობესება აშშ-თან და დიდ ბრიტანეთთან.თუმცა ისრაელის მთავრობის პოზიცია ოფიციალურად რჩებოდა „ნეიტრალური“ - მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფის კონტექსტში.

1956 წელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გამწვავება,სუეცის კრიზისის სახით,დაკავშირებული იყო ეგვიპტესტან და ატარებდა სამხედრო ხასიათს,მაგრამ განსხვავდებოდა ყველა მომდევნო არაბულ- ისრაელური კონფლიქტისაგან,რადგანაც მასში არაბების და ისრაელელების გარდა მონაწილეობდნენ ევროპული ქვეყნების - დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის არმიები.

ინგლისელებმა და ფრანგებმა გადაწყვიტეს „სუეცის საკითხის“ გადაჭრა ძალისმიერი გზით, დაიწყეს ეგიპტის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების მომზადება.თუმცა, სუეცის არხისათვის ომს წინ უძღოდა საკითხის დიპლომატიური გზით გადაჭრის მცდელობა.

ისრაელს ჰქონდა საკმარისი მიზეზი,რათა მიეღო მონაწილეობა ინგლისურ-ფრანგული კამპანიაში ეგვიპტეში ნესერის რეჟიმის დამხობის მიზნით: უპირველეს ყოვლისა ,ჯერ კიდევ 1950 წლის ივლისიდან ეგვიპტემ დააწესა აკრძალვა გემების გატარებაზე, რომლებსაც ტვირთი მიჰქონდათ ისრაელში და დაბლოკა ისრაელის გემებისათვის ტირანის სრუტე. მეორე მხრივ, ისრაელს სურდა ბოლო მოეღო პალესტინელთა ბანაკებიდან პარტიზანების (ფედაიანთა) თავდასხმებისათვის ღაზას სექტორში. მესამე, ეგვიპტეში რეჟიმის შეცვლას შეიძლებოდა გამოეწვია სოციალისტური ქვეყნებიდან შეიარაღების შესყიდვაზე ხელშეკრულებების დენონსაცია. ისრაელს სჭირდებოდა ომი ეგვიპტესთან,რომელშიც გამარჯვებას აღუთქვამდნენ დიდი ბრიტანეტი და საფრანგეთი.

[49] Bregman, A. (2000). *Israel's Wars, 1947-1993.* London and New York: Routledge.

1956 წლის 29 ოქტომბერს ისრაელის არმია,რომელიც ითვლიდა 100 ათას ადამიანს, 200 ტანკს, 600 ერთეულ ჯავშანტექნიკას, დაახლ. 150 საბრძოლო თვითმფრინავს, კოდეშის გეგმის მიხედვით შეიჭრა ეგვიპტეში. 30 ოქტომბერს ისრაელის აგრესიის საკითხი განსახილველად დაისვა უშიშროების საბჭოზე.

1956 წლის 30 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოში სსრკ-ის წარმომადგენელმა მოუწოდა წევრებს მიეღოთ ზომები „ისრაელის აგრესიის აღსაკვეთად“ და მიეღწიათ შეთანხმებას ეგვიპტის ტერიტორიიდან მისი არმიის დაუყოვნებლივი გამოყვანის თაობაზე. გაერო-ს უშიშროების საბჭოში სსრკ-მა აშშ-თან ერთად ხმა მისცა ცეცხლის შეწყვეტას,მაგრამ ინგლისმა და საფრანგეტმა ვეტოს გამოყენებით დაბლოკეს როგორც სსრკ-ის, ისე აშშ-ის წინადადება. 31 ოქტომბერს ინგლისმა და საფრანგეთმა გამოაცხადეს სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ ეგვიპტის წინააღმდეგ[50] .

3 ნოემბერს აზიისა და აფრიკის 19 ქვეყანამ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად წარადგინა რეზოლუციის პროექტი,რომელიც ითვალისწინებდა ომის შეწყვეტას. 4 ნოემბერს, 59 ხმით 5-ის წინააღმდეგ,რეზოლუცია მიიღეს. თუმცა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კვლავ იგნორირება მოახდინეს გაერო-ს მოწოდების-ინგლისურ-ფრანგული ავიაცია აგრძელებდა ეგვიპტის პოზიციების დაბომბვას.

1956 წლის 5 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია N1000 ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. 19565 წლის 6 ნოემბერს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა გაუგზავნა მიმართვა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს,რომელშიც იტყობინებოდა,რომ ინგლისის მთავრობამ მისცა განკარგულება თავის შეიარარებულ ძალებს ეგვიპტეში შეეწყვიტათ ცეცხლი 6 დან 7 ნოემბრის ღამეს.იმავე დღეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიმართვა გაუგზავნა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იმის თაობაზე, რომ საფრანგეთი თანახმა ცეცხლის საბოლოო შეწყვეტაზე ეგვიპტეში, როგორც კი მსგავს სურვილს გამოხატავს ისრაელი და ეგვიპტე და როგორც კი გაერო-ს შეიარაღებული ძალები შეძლებენ შეასრულონ

[50] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.

მათზე დაკისრებული ამოცანები. ამას მოჰყვა 8 ნოემბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრის მიმართვა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი,სადაც იყო შეტყობინება ისრაელის არმიის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ეგვიპტეში.

სინას კამპანიის შემდეგ ისრაელმა მიიღო თავისუფალი ზღვაოსნობის უფლება ეილათის ყურეში და ტირანის სრუტეში და მათი საშუალებით-მეწამულ ზღვაშიც.კანადის მთავრობის ინიციატივით შეიქმნა გაერო-ს „საგანგებო ძალები". მართალია, ისრაელი ცდილობდა შეენარჩუნებინა ომის დროს დაპყრობილი მნიშვნელოვანი რაიონები- შარმ აშ-შაიხი და ღაზას სექტოეი, მაგრამ აშშ-მა აიძულა გაეყვანა არმია ამ რაიონიდან, რის სანაცვლოდაც მიიღო ისრაელმა ტირანის სრუტეში ნაოსნობის გარანტია. ღაზას სექტორია და შარმ აშ-შაიხი გადადიოდა გაერო-ს საგანგებო ძალების კონტროლის ქვეშ. ისრაელმა თანდათან გამოიყვანა არმია იმ პირობით,რომ სამშვიდობო დარეგულირებამდე სექტორში დარჩებოდა გაერო-ს ძალები.ამასთან, ის იტოვებდა თავისუფალი მოქმედებების უფლებას მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში.[51]

ომის შედეგები: ეგვიპტის დანაკარგები- 1650 ადამიანი (მათ შორის 100 მეომარი ისრაელის არმიასთან ბრძოლაში), 4900 დაჭრილი (მათ შორის 4000 სინაზე),ტყვეები და უგზოუკვლოდ დაკარგულები 6285 ადამიანი (მათ შორის 61000 ისრაელთან ბრძოლაში). ისრაელის არმიის დანაკარგები- 189 ადამიანი მოკლული,849 დაჭრილი და ტყვე; ინგლისელები-16 მოკლული და 96 დაჭრილი; ფრანგები- 10 მოკლული და 33 დაჭრილი.

1965 წელს თუნისის პრეზიდენტი ჰაბიბ ბურღიბა, ახლო აღმოსავლეთის მრავალი პოლიტიკოსისათვის მოულოდნელად,გამოვიდა სამშვიდობო ინიციატივით და შესთავაზა არაბულ სახელმწიფოებს ეცნოთ ისრაელი იმ საზღვრებში,რაც აღნიშნული იყო გაერო-ს 19417 წლის N181-ე რეზოლუციაში და დაეცვათ N194-ე რეზოლუცია პალესტინელი ლტოლვილების დაბრნების თაობაზე. ეს გეგმა უარყოფილ იქნა ორივე

[51] Risse-Kappen, T. C., & NJ: Princeton University Press, 1. (, 1995.). *Cooperation among Democracies: The European Influence on U.S. Foreign Policy. . .* Princeton; NJ: Princeton University Press.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ, მაგრამ ზოგიერთი წყაროს ცნობით, სერიოზული დისკურია მიმდინარეობდა ამ თემაზე,როგორც ისრაელის, ისე არაბულ პოლიტიკურ ელიტებში. მაგრამ ბარღიბას ინიციატივა უშედეგო აღმოჩნდა.1967 წლის 5 ივნისს ახლო აღმოსავლეთში გაჩაღდა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ახალი ომი, რომელიც ისტორიაში შევიდა ექვსდღიანი ომის სახელით და დამთავრდა ისრაელის სრული გამარჯვებით ეგვიპტეზე,სირიასა და იორდანიაზე. ამ ომს ჰქონდა სერიოზული შედეგები მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის. ეს იყო ხალი ეტაპი როგორც ისრაელის, ისე არაბული ქვეყნების ისტორიაში. მან განსაზღვრა აღმოსავლეთის შემდგომი განვითარება და რეგიონის თანამედროვე რუკა,ზოგიერთი გამონაკლისით მოხაზული იქნა ექვსდღიანი ომით.

ომმა,რომელიც გაგრძელდა სულ ექვსი დღე,კარდინალურად შეცვალა გეოპოლტიკური ბალანსი ახლო აღმოსავლეთში. ისრაელმა მოიპოვა სრული გამარჯვება,გააფართოვა თავისი ტერიტორია 3,5-ჯერ, დაისაკუთრა სინას ნახევარკუნძული (60,000კვ.კმ),ღაზას სექტორი(360 კვ.კმ),იორდანიას კონტროლირებადი ტერიტორიები მდ. იორდანეს დას. ნაპირზე, სირიის გოლანის მაღლობების ძირითადი ნაწილი. სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა კონტროლის დამყარებას იერუსალიმზე[52]. ისრაელმა ომის დამთავრებისთანავე შეიერთა აღმოსავლეთ იერუსალიმი, რის შედეგადაც 1967 წლის 28 ივნისს გაერთიანებული ქალქი იერუსალიმი გამოაცხადა ისრაელის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად.

ექვსდღიანი ომის შედეგები: სინაზე და ღაზაში დაიღუპა 338 ისრაელელი და არანაკლებ 9800 ეგვიპტელი, გოლანის მაღლობზე -141 ისრაელელი და არანაკლებ 500 სირიელი ჯარისკაცი, ხოლო იორდანიის ფრონტზე - 300 ისრაელელი და 800 იორდანელი ჯარისკაცი. ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს 46 თვითმფრინავი, ომში მონაწილე არაბულმა ქვეყნებმა- 452.

[52] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.

ითვლებოდა რომ, მომქანცველი ომი დაიწყო 1969 წლის მარტში, მაგრამ ფაქტობრივად პირველი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო 6 დღიან ომში ეგვიპტის დამარცხებიდან ერთი თვის შემდეგ და 1970 წლამდე გაგრძელდა. ეს ომი წამოიწყო ეგვიპტემ ისრაელის მიერ ოკუპირებული სინას ნახევარკუნძულის დაბრუნებისთვის. ომი წარმოებდა ძირითადად არტილერიის და ავიაციის საშუალებით.პირველი გასროლა 1967 წლის 1 ივლისს მოხდა. (ხ. ჰერცოგი 2007).1967 წლის ბოლოდან 1970 წლის გავისტომდე სულ დაიღუპა 400 ისრაელელი და 2000-ზე მეტი დაიჭრა[53].

1970 წლის ივნისში აშშ-მა წამოაყენა ე.წ „როჯერსის გეგმა“, რომელიც ეფუძნებოდა N242 რეზოლუციას და სტავაზობდა მხარეებს მშვიდობის დამყარებას და მოლაპარაკებების დაწყებას. ეგვიპტე და იორდანია დათანხმდნენ მიეღოთ როჯერსის გეგმა.ისრაელმა უარი ტქვა ამის გაკეტებაზე. 1970 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა შეტანხმებას ცეცხლის შეწყვეტაზე,რომელმაც დაასრულა „მომქანცველი ომი“.

ნასერის სიკვდილის (1970 წ. 28 სექტემბერი) შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა ანვარ სადათი (1970-1981), რომელმაც დაიწყო თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ორმაგი თამაში საგარეო პოლიტიკაში- შეეცადა მაქსიმალური მოგება მიეღო სსრკ-დან, ისე აშშ-დან.

როდესაც ეგვიპტის ახალმა პრეზიდენტმა ომი წამოიწყო ისრაელთან, ის არ ისახავდა მიზნად ისრაელის განადგურებას ან მისთვის გამოუსწორებელი ზარალის მიყენებას. სადათი პრაგმატისტი იყო და კარგად ახსოვდა 1967 წლის ომის გაკვეთილები. არმიის წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები: სუეცის არხზე ისრაელის გამაგრებების ფორსირება, მოწინააღმდეგისათვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, სინას ნახევარკუნძულის გათავისუფლება. სადათის ამოცანა იყო ეჩვენებინა, რომ ეგვიპტეს შეეძლო შეზღუდული ომის დახმარებით დარტყმა მიეყენებინა ისრაელისათვის, რათა ოპონენტის პოზიცია მომავალი დარეგულირების პროცესში გაწონასწორებული გაეხადა. დაწყებული ომი უფრო მეტად პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, ვიდრე

[53] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press.

სამხედროს,კერძოდ პოლიტიკური პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ ისრაელი იძულებული გამხდარიყო 1967 წლისთვის არსებულ საზღვრებს დაბრუნებოდა[54]

1973 წლის 6 ოქტომბერს დაიწყო არაბული ქვეყნებისა და ისრაელის მეოთხე ომი. ეგვიპტე (80,000 ან 90,000- იანი არმია)და სირია ერთდროულად თავს დაესხნენ ისრაელს იმ დროს, როცა ებრაელებ აღნიშნავდნენ მთავარ რელიგიურ დღესასწაულს- იომ-ქიფურს („განკითხვის დღე“).სამხედრო მოქმედებების მაქსიმალური კოორდინაცია უნდა მომხდარიყო 2 ფრონტზე- ეგვიპტისა და სირიის ფრონტებზე. სირიისა და ეგვიპტის არმიის ხელმძღვანელებმა მიირეს მკაფიოდ განსაზღვრული სამხედრო დავალება- გადასულიყვნენ სუეცის არხით და დაეკავებინათ პლაცდარმი მის აღმოსავლეთ ნაპირზე,ეგვიპტის ფრონტზე- სამხრეთით,დაეკავებინათ გოლანის მაღლობები და წინ წაეწიათ გალილეის ტბისკენ-ჩრდილოეთისაკენ.თავდაპირველად ეგვიპტელებმა,ავიაციის დახმარებით,უპირატესობა მოიპოვეს-გაარღვიეს ბარ ლევის ხაზი სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე და დაეუფლნენ ისრაელის პოზიციებს. ეს იყო მნიშვნელოვანი მიღწევა ეგვიპტის არმიისათვის პირველი 24 საათის განმავლობაში, რომლის დროსაც მხოლოდ 200 ჯარისკაცი დაიღუპა. ოქტომბრის ომის ეს ეპიზოდი დარჩა ეგვიპტელთა ცნობიერბაში, როგორც „გადალახვა“ და სამხედრო ტრიუმფის სიმბოლო, ხოლო სადათი გახდა „გადალახვის გმირი“[55] 1973 წლის 16 ოქტომბერს სამხედრო უპირატესობა ისრაელის მხარეს გადავიდა და ის არამარტო გადაურჩა განადგურებას, არამედ უკუაგდო სირიელები და ეგვიპტელებიც. თუმცა ,ამ ომმა ისრაელს აჩვენა, რომ მოწინააღმდეგე ახლა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ადრე. მართალია აშშ არაპირდაპირი გზით მონაწილეობდა ამ ომში, ტექნიკასა და შეიარაღებას პირდაპირ აწვდიდა ისრაელს და ზეწოლას ახდენდა პრეზიდენტ ანვარ სადათზე, ამგრამ ამ ომმა დაანახა ისრაელს, რომ შეუძლებელი იყო აშს-თან მისი შემდგომი ურთიერთობების შინასწარმეტყველება.

---

[54] ხ., ჰ. (2007). *ისრაელ-არაბების ომები.* თბილისი.

[55] Cleveland, W. L. (2004,2009). *A History of the Modern Middle East 3rd ed.* Boulde: Westview Press.

როგორც ისრაელელებისათვის, ისე არაბებისათვის, ამ ომს ჰქონდა სერიოზული ფსიქოლოგიური შედეგები: ისრაელი აღარ იყო უწინდელივით თავდაჯერებული თავის დაუმარცხებლობაში.არაბულმა ქვეყნებმა დარტყმა მიაყენეს ისრაელის ხელმძღვანელობის პრესტიჟს და შესაძლებლობა მიეცათ ეამაყათ ომის პირველი ფაზით მაინც,როდესაც მათი მოქმედებები წარმატებული იყო. ისრაელი არ ელოდა, რომ ეგვიპტე ომს დაიწყებდა- გოლდა მერის მთავრობა დარწმუნებული იყო 1967 წლის ომის შედეგების ურყეობაში,რამაც თავისთავად განუმტკიცა ისრაელს თავისი სამხედრო რწმენა. ამის გამო ისრაელელები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ არც ეგვიპტისა და გაეროს-ს სამშვიდობო ინიციატივებს და არც 1972-73 წლების ომისათვის მომზადებას.[56]

1978 წლის 17 სექტემბერს აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია კემპ-დევიდში,პრეზიდენტ კარტერის შუამავლობით,სადათმა და ბეგინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პაკეტს,რომელიც ისტორიაში შევიდა კემპ-დევიდის შეთანხმების სახელით.

კემპ-დევიდის შეთანხმება შედგებოდა ორი დოკუმენტისაგან. პირველი იყო „მშვიდობის ჩარჩოები ახლო აღმოსავლეთში“, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა სადათის „ნაბიჯს საყოველთაო ახლოაღმოსავლური დარეგულირებისაკენ“. მეორე დოკუმენტი- „ჩარჩოები ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად“ ეხებოდა ორმხრივ დარეგულირებას.

კემპ-დევიდის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ისრაელის მიზანი იყო ოკუპირებული ტერიტორიების ათვისება და იურიდიული შემომტკიცება. 1980 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა ე.წ. „ძირიტადი კანონი“, რომლის თანახმადაც იერუსალიმი ცხადდებოდა ისრაელის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად.1981 წლის 14

[56] Kamrava, M. (2005). *The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War.* Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.
Quandt, W. B. (2005.). *Peace Process: American Diplomacy and the Arab-Israeli Conflict since 1967.* Berkely and Los Angeles: University of California Press.

დეკემბერს ისრაელმა დაიკავა გოლანის მაღლობები.აქტიურად ხორციელდებოდა მდ.იორდანეს დას. ნაპირისა და ღაზას სექტორის კოლონიზაცია.

ლიბანის სამოქალაქო ომი (1975-1990), რომელიც 15 წელი გაგრძელდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მთელ პროცესში და თავიდანვე არ წარმოადგენდა მხოლოდ ლიბანის შინაპოლიტიკურ მოვლენას. მასში მთავარი „გარე“ აქტორები გახდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის რაზმები,სირიისა და ისრაელის არმიები.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა არიელ შარონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: არაერთი ფაქტი მეტყველებს იმაზე,რომ 1982 წელს ლიბანში ისრაელის არმიის ინტერვენციისათვის მრავალი ხელსაყრელი ფაქტორი არსებობდა-1982 წლის აპრილში დასრულდა სინადან არმიის გამოყვანა და ეგვიპტე-ისრაელის ზავი გახდა ისრაელის უსაფრთხოების გარანტია დასავლეთ საზღვრებზე.ლიბანში ისრაელს ჰყავდა მოკავშირეები,რომლებიც ემხრობოდნენ ისრაელის არმიიის ქვეყანაში შესვლას „წესრიგის დასამყარებლად“.

ისრაელის საინფორმაციო საშუალებები არ ფარავდნენ,რომ ისრაელის არმიიის მთავარი ამოცანა იყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება,რადგან მისი გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიაზე საფრთხეს უქმნიდა ისრაელს.არსებობს მოსაზრება, რომ ლიბანში ისრაელის შეჭრის ერთ-ერთი ინიციატორი იყო არიელ შარონი, რადგანაც მასსურდა რადიკალურად გადაეწყვიტა პალესტინის საკითხი.

თავის მხრივ, სირიის მონაწილეობა ლიბანის კონფლიქტში გამოწვეული იყო იმით, რომ მას არ სურდა ისრაელის გაძლიერება.

1982 წლის 3 ივნისს დიდ ბრიტანეთში ანუ ნიდალის ტერორისტულმა ჯგუფმა,განახორციელა თავდასხმა ისრაელის ელჩზე შლომო არგოვზე.ეს გახდა ფორმალური საბაბი ლიბანში ფართომასშტაბიანი სამხედრო

ოპეაციის,სახელწოდებით-„მშვიდობა გალილეაში“ დაწყებისათვის (1982 წლის 6 ივნისს).

ლიბანში ისრაელის ოპერაციის შედეგად განადგურდა 6 ქალაქი, 30 სოფელზე მიეტი და პალესტინელ ლტოლვილთა 17 ბანაკი.ომი ლიბანში გაგრძელდა კიდევ რამოდენიმე წელი და სამშვიდობო პროცესის დაწყებად ითვლება ე.წ. „ტაიფის შეთანხმება“, რომელიც დაიდო 1989 წელს არაბული ქვეყნების შუამავლობით.ისრაელმა მიაღზია თავის მიზანს- აიძულა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დაეტოვებინა ბეირუთი,ფაქტობრივად გაანადგურა მისი ინფრასტრუქტურა ლიბანში,მაგრამ ქვეყნის სამხრეთში ანტიისრაელური ბრძოლის ესტაფეტა აიტაცეს ლიბანელმა შიიტებმა,რომლებიც 1982 წელს გაერთიანდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში სახელწოდებით ჰიზბალაჰ (შიქმნა ირანის უშუალო მონაწილეობით

თავი III

ისრაელი და ტერორიზმი

3.1 ტერორიზმი; მისი არსი და სახეები

ტერმინი "ტერორიზმი" (Terror) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს შიშს, საშინელს. პირველად ტერორი როგორც მეთოდი პოლიტიკური მოქმედებისა წარმოიშვა დიდი საფრანგეთის რევოლუციის დროს და გამოიყენებოდა რადიკალური რევოლუციონერების მიერ პოლიტიკური მოწინააღმდეგთა რეპრესიების სახით. ამგვარად ტერორი (ტერორიზმი) არის პოლიტიკური პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის საშუალება,პოლიტიკური ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ხორციელდება როგორც სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ,ასევე სხვადასხვა იააკქვეშა ჯგუფების მხრიდან მმართველი კლასის და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ.ამიტომაც საჭიროა ამ ორი ფენომენის ცალ-ცალკე განხილვა, რადგანაც ტერმინ „ტერორის" ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოქალაქეების და პოლიტიკური ოპოზიციური წარმომადგენლების წინააღდეგ წარმოებული რეპრესიები, იმ მიზნით,რათა დაითრგუნოს მათი წინააღმდეგობისუნარიანობა და განმტკიცდეს მისი უზენაესობა, ხოლო ტერმინი „ტერორიზმი" გნიხილება, როგორც ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფებებისათვის დამახასიათებელი საქმიანობა.ამ შემთხვევაში პოლიტიკური ოპოზიცია იყენებს ძალადობას (ან ძალის გამოყენების მუქარას) მოსახლეობის (მათ შორის უცხოელების

წინააღმდეგ) ან ქონების მიმართ, იმ მიზნით, რომ მიაღწიონ პოლიტიკურ დათმობებს სახელმწიფოს მხრიდან. ტერორისტული საქმიანობის მიზანია ძალისმიერი საშუალებების გამოყენებით, მიღწეულ იქნას პოლიტიკური პროცესების ცვლილება, მიმართული ხელისუფლების, მოსახლეობის ჯგუფების, უცხო ქვეყნის მოქალაქეების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების საწინააღმდეგოდ.

საერთო ჯამში არსებობს „ტერორისა“ და „ტერორიზმის“ სხვადასხვა ინტერპრეტირება და მათი განმასხვავებელი ნიშნები. ტერორი-ეს არის სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური რეპრესიების წარმოება,რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ძალოვანი ინსტიტუტების მიერ. ტერორიზმი- ეს არის ძალადობრივი აქტები, რომლებსაც იყენებენ ოპოზიციური დაჯგუფებები. ტერორის იარაღია- რეპრესიები,ხოლო ტერორიზმის კი- ტერორისტული აქტები.

დღევანდლ ეტაპზე არა არის მკვეთრად გამოხატული განსაზღვრება ნება „ტერორიზმისა“. არსებობს რამოდენიმე ვარიანტი, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია გამოვყოთ შემდეგი განსაზღვრებები:

1. ტერორიზმი- ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა,რომელიც ხასიათდება იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობის სისტემატიურად გამოყენების გზით და გამოიხატება მკვლელობებში, დივერსიებში, საბოტაჟში, მოტაცებასა და სხვა ქმედებებში,რომლებიც მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების წინააღმდეგ.ამგვარი ძალადობა გამოიყენება კონკრეტული მოწინააღმდეგეთა მოსასპობათ,ასევე მთავრობების,პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და რელიგიური მოძრაობათა და ეთნიკური ჯგუფების შესაშინებლად,რათა მიღწეულ იქნას განსაზღვრული პოლიტიკური, რელიგიური,სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

2. ტერორიზმი- ეს არის არასახელმწიფოებრივი ძალადობის აქტი,რომლის მიზანია დათესოს საზოგადოებაში პანიკა,შეასუსტოს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა,

და ჩამოაგდოს არსებული ხელისუფლება „(უოლტერ ლაკერი,ტერორიზმის სფეროში ამერიკელი ექსპერტი);

3. ტერორიზმი- წარმოადგენს მოტივირებულ ძალადობას,რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები (ბორის კროზე,კონფლიქტების შემსწავლელი ლონდონის ინსტიტუტის დირექტორი);

4. ტერორიზმი- ეს არის ძალის ან ძალადობის არაკანონიერი გამოყენება,მიმართული პიროვნებების ან საკუთრების წინააღმდეგ,რომელიც მიმართულია მთავრობის,სამოქალაქო მოსახლეობის ან სხვა-სოციუმის სეგმენტის განადგურების მიზნით, კონკრეტული პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მისაღწევად(აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს განსაზღვრება);

5. ტერორიზმი- ეს არის წინასწარ დაგეგმილი,პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედება განხორციელებული სუბეროვნული ჯგუფების ან საიდუმლო აგენტების მიერ არაკომბატანტი პირების წინაარმდეგ მათზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით. საერთაშორისო ტერორიზმი ეს არის ტერორიზმის ფორმა,სადაც მონწილეობას ღებულობს ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის მოქალაქე და რომელიც ხორციელდება ერთზე მეტ ქვეყანაში (აშს-ს სახელმწიფო დეპარტამენტი);

6. ტერორიზმი- მიზანმიმართული ძალადობის გამოყენება ან ძალადობის მუქარის შექმნა შიშის ფენომენის გამოწვევის მიზნით,რომელიც ითვალისწინებს მთავრობებზე ან სოციუმებზე გავლენის მოხდენას და კონ კრეტული პოლიტიკური,რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნების მიღწევას (აშშ-ს თავდაცვის დეპარტამნეტი-პენტაგონი);

7. ტერორიზმი- რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონის“ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, მიხედვით განსაზღვრული განმარტების ფარგლებში,ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კომპონენტს და ბოლო ფრაზაში აკონკრეტებს იმ მოვლენას, რომ ტერორისტული აქტი, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება მიმართული იყოს ომის დაწყების პროვოკაციის ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტერორიზმის განმარტება კარგად მიესადაგება დღევანდელ ეტაპზე განვითარებული ტრაგიკული და საშიში პროცესების გენეზისს. ტერორისტულ საქმიანობას აწარმოებენ მარტოხელა ტერორისტები, ტერორისტული დაჯგუფებები და ორგანიზაციები (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები რომელთაც გააჩნიათ გარკვეულ სახელმწიფოთა მხარდაჭერა). ტერორიზმი ხორციელდება,როგორც ბრძოლის სახე,სადაც გაერთიანებულია იატაკქვეშა, ძალისმიერი, მართვადი,იდეოლოგიზირებული და მიზანმიმართული წინააღმდეგობის ელემენტები. ტერორიზმის მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც შემთხვევითი, ისე წინასწარ შერცეული პირები, რომლებიც წარმოადგენენ რომელიმე პოლიტიკური ინსტიტუტების სიმბოლოებს. ტერორისტულ აქტს ასრულებს გარკვეული კატეგორიის პირთა დაშინების ფუნქციას ან პროპაგანდას უწევს ტერორიზმის იდეებს.

თვის მხრივ ტერორიზმი წარმოიშვა, როგორც პოლიტიკური პრობლემების ხანგრძლივად გაწელილი გადაწყვეტილებების საპასუხო რეაქცია. ფაქტრიურად ტერორიზმი იზრდება მნისვნელოვანი საზოგადოებრივი უთანხმოების საფუძველზე. ტერორისტულ ბრძოლებს იწვევს პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული(ნაცინალური), მსოფლმხედველობითი ხასიათის კონფლიქტები. ზოგჯერ სისხლის დანაშაული ღებულობს ტერორირსტული აქტის მაშტაბებს, აქედან გამომდინარე თვით ტერორიზმის ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვორს მისი გამოვნილების შემდეგი ძირითადი ტიპები:

ა) პოლიტიკური ტერორიზმი: ფართო გაგებით, პოლიტიკურ ტერორიზმში მოისაზრება ტერორისტული აქტივობის ყველა ჩამოთვლილი გამოვნილება, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილის შეცვლისაკენ, ვიწრო გაგებით, პოლიტიკურ ტერორიზმში მოიაზრება ბრძოლა, რომელიც მიმართულია რაიმე გადაწყვეტილების არ დაშვების (ან პირიქით მიღების) მიმართ, რომელიც ეხება სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფრანგული იატაკქვეშა ჯგუფის "ალჟირის განთავისუფლების ორგანიზაციის" საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ალჟირის

სუვერენიტეტის მიცემის წინააღმდეგ. კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ ამ გვარი ორგანიზაციიების საქმიანობა ღებულობს სხვა სახეს.

ბ) სოციალური ტერორიზმი: სოციალური ტერორიზმი წარმოიშობა ღრმა სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების საფუძველზე და გამოვლინდება ორი ძირითადი ფორმით: მემარჯვენე და მემარცხენე ტერორიზმი. მემარცხენე ტერორიზმი (რევოლუციური, "წითელი") იდელოგიურად ორიენტირებულია სხვადასხა მემარცხენე დოქტრინებზე (მარქსიზმი, ლელილიზმი, ტროცკიზმი, ანარქიზმი, გევარიზმი, მაოიზმი, კასტროიზმი, ანტიგლობალიზმი და ა.შ). მემარცხენე ტერორიზმის სამიზნეს წარმოადგენენ ბიზნესმენები, სახელმწიფო ცინოვნიკები, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, მტავრობასთან თანამშრომობაში მყოფი დამოუკიდებელი სპეციალისტები (ეკონომისტები, იურისტები, ჟურნალისტები), სამთავრობო პოლიტიკური პარტიების ფუნქციონერები. მემარცხენე ტერორისტები ქმნიან მნიშვნელოვან იატაკქვეშა შეიარარებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობის კოორდინაციას საერთაშორისო მასშტაბების დონეზე.როგორც წესი მემარცხენე ტერორიზმი აქტიურდება მაშინ,როდესაც ხდება სახელმწიფოს შიგნით კრიზისების გამწვავება. მემარცხენე ტერორისტების საბრძოლო ჯგუფები მოქმედებენ შედარებით მოკლე დროში.გამონაკლის წარმოადგენენ პარტიზანული ფორმირებანი მოქმედნი აზია-წყნარი ოკეანეთის და ათინური ამერიკის რეგიონებში,რომლებიც ბაზირებულნი არიან სოფლის მოსახლეობის განსახლების ადგილებში და გერმანული დაჯგუფებები წლობით მოქმედნი „არააქტიურ რეჟიმში“. „ცივი ომის“ პერიოდში მემარცხენე ტერორისტები სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სოციალისტური ქვეყნების მხრიდან (კერძოდ, კეკუბა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, უნგრეთი). 1970-80 წლებში მემარცხენე ტერორისტები უფრო აქტიურად მოქმედებდნენ ვიდრე მათი ოპონენტები მარჯვენა ფლანგიდან.მემარცხენე ტერორისტები ძირითადად ახორციელებდნენ შეიარარებულ თავდასხმებს, უფრო იშვიათად - აფეთქებებს, რომელტაც თან ახლდა დიდი რაოდენობით შემთხვევითი მსხვერპლი. მემარჯვენე ტერორიზმი (კონტრევოლუციური,

"შავი") ორიენტირებულია ერისათვის ტრადიციულად მიღებულ პოლიტიკურ დოქტრინებზე და ფასეულობებზე, ისტორიულად-წარსული დროის ეროვნულ მოღვაწეებზე. მემარჯვენეები აქტიურდებიან მოკლე დროით, იმ პერიოდში, როდესაც მოსალოდნელია უდიდესი საშიშროება მემარცხენეთა მხრიდან. მათი სამიზნეებია: მემარცხენე და ლიბერალური პოლიტიკოსები და აქტივისტები. "წითლებისაგან" განსხვავებით, მემარჯვენე ტერორისტები იშვიათად ქმნიან მპეციალურ მებრძოლ ორგანოებს, უპირატესობას ანიჭებენ რა-იმოქმედონ გასაიდუმლოებული ჯგუფების სახით, რომლებსაც გააჩნიათ აშკარა მემარჯვენე-რადიკალური პოლიტიკური სტრატეგია.

გ)ნაციონალური ტერორიზმი: ნაციონალური ტერორიზმი ხორციელდება ეთნიკური ნიშნით. მისი ნაირსახეობას შეადგენს სეპარატისტური ტერორიზმი. ახორციელებს ეროვნულ უმცირესობათა ნაციონალურ-პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ისტორიული ტერიტორიების სუვერენიტეტისა ან ავტონომიის გაფართოებისათის. პოლიტიკური სიტუაციის, ტრადიციების და სოციალური სტრუქტურების მიხედვით ისინი ორიენტირებული არიან მემარცხენე (ბასკების ტერიტორიული ჯგუფი"ეტა") ან მემარჯვენე (კორსიკელი ტერორისტები) იდეოლოგიაზე. ასეთი ტიპის ორგანიზაციები უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანი არიან (მაგ., ირლანდიის რესპუბლიკური არმია). მათი სამიზნეებია: ჩინოვნიკები, ბიზმესმენები, პოლიციელები. მემარცხენე ორიენტაციის ტერორისტები უპირატესობა ანიჭებენ ტერაქტებს მიმართულს მაღალჩილოსან სახელისუფლო მოხელეებზე, რასაც რევოლუციური იდეოლოგიით ამართლებენ. მეორე ნაირსახეობას შეადგენს-ნაციონალურ-განმათვისუფლებელი ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება ოკუპირებული ან კოლონიზირებული ქვეყნების ხალხების მიერ აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მათი მიზანია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა. შემდეგნაირ სახეობათ გვევლინება-რეპრესიული ნაციონალური ტერორიზმი, რომლის განვითარება ხორციელდება ერთიანი სახელმწიფოს შიგნით, ნაციონალური კონფლიქტების ფონზე. ამ სახის ტერორიზმი მიზნად ისახავს

პრივილეგირებული ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლების მხრიდან ეროვნული უმცირესობათა მოთხოვნების დათრგუნვას, საკუთრების ფორმების დაცვას, ეთნიკურად ერთსახა სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და რასისტული იდეების გაღვივებას (მაგ., კუ-კლუ-კსკლანი, ებრაელთა დაცვის ლიგა ანტირუსული ტეორორიზმი ტაჯიკეთში 1992-96 წლებში), ხოლო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები თვის მხრივ ამ სახის ტერორიზმის გამოყენებით ცდილობენ მიახწიონ თანასწორუფლებიანობას (კერძოდ, აშშ-ში ზანგების ორგანიზაცია "შვი პანტერა")

დ) ტერიტორიულ-სეპარატისტული ტერორიზმი: ამ სახის ტერორიზმი ნაკლებად გავრცელებული მოვლენაა. ის ხორციელდება ძირითადად ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, რომელსაც მიმართავენ გაბატონებული ერის ან ეთნოსის წარმომადგენლები ქვეყნის რომელიმე მხარეში სუვერენიტეტის გამოცხადების მიზნით (მაგ., აფხაზეთის რეგიონსი მიმდინარე პროცესები)

ე) მსოფლმხედველობითი (იდეოლოგიური) ტერორიზმი: ამ ფორმის ტერორიზმი წარმოიშვა ძირითადად არსებული ნორმებისა და ურთიერთობების მიმართ არსებული პრინციპული უთანხმოების ნიადაგზე ან მოტივზე. ამ სახის ტერორიზმის გამოვლენად შესაძლოა მივიჩნიოთ რელიგიური, ეკოლოგიური, "კონტრაბანდული", ფემინისტური ხასიათის უთანხმოებანი აყვანილი უკიდურესად რადიკალურ ფორმებში. ამ ტიპის ტერორიზმიდან, ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს რელიგიური ტერორიზმი, რომელიც თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: ფუნდამენტალისტურ და სექტანტურ ტერორიზმებად. ფუნდამენტალისტური ტერორიზმის სხვადასხვა გამოვლინება არსებობს, კერძოდ ორგანიზაცია "არიული ერის" ტერორისტებისათის პროტესტანტიზმი წარმოადგენს იმ მსოფლმხედველურ პოზიციას, რომელსაც ძალუძს ანტისახელმწიფოებრივი და ანტილიბერალური ბრძოლის კონცეფციის ფორმულირება. იუდეველთა ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია "კახი", აერთიანების რადიკალური იდეების მქონე პირებს, რომლებიც ებრძვიან ებრაელთა და ისრაელის სახელმწიფოს მტრებს. სექტანტურ ტერორიზმს მიმართავენ ტოტალიტარული ხასიათის სხვადასხვა მალიგინალური სექტები, რომლებიც ძალადობას მიიჩნევენ

ერთადერთ მიზნად, რათა ხელშიმ ჩაიგდონ ძალაუფლება და დაარსონ უფრო სრულყოფილი საზოგადოება. მათი სამიზნეა მთლიანი სოციუმი. სექტანტურ ტერორიზმს მაგალითებად მიჩნეულია ე.წ "მენსონის ბანდა", "აუნ-სენრიკე" (იაპონია), "სენ-მიუნ მუნის საზოგადოება" (სამხრეთ კორეა) და ა.შ.

ვ) კრიმინალური ტერორიზმი: ტერმინი „კრიმინალური ტერორიზმი“ გაჩნდა საერთო ტერმინოლოგიურ ხმარებაში ჟურნალისტების წყალობით,რომლებსაც აკრიტიკებენ ამ ტერმინის შემოტანის გამო. ტერორისტული ხასიათის კრიმინალურ დანაშაულებებს მიეკუთვნებიან ისეთი სახიფათო სახის დანაშაულებანი, როგორებიცაა: ნარკოვაჭრობა, რეკეტი, კიდნეპინგი და დაყაჩაღება.”[57]

3.2 ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული განყოფილებები

მთელი თანამედროვე ისტორიის მანძილზე,ფაქტიურად ისრაელის ჩამოყალიბების მომენტიდან,ის ტერორისტების თავდასხმების,საბრძოლო ჯგუფების და ორგანიზაციების თავდასხმის ობიექტს წარმოადგენს. მათი უმრავლესობის მიზანს წარმოადგენს- გაანადგურონ ისრაელი, როგორც „ხელოვნურად ჩამოყალიბებული სახელმწიფო“ რეგიონში.

ჯერ კიდევ 1948 წ ისრაელის დროებითმა საბჭომ გამოსცა განკარგულება „ ტერორიზმის პრევენციის შესახებ “ რომელშიც ტერორისტული ორგანიზაციის კატეგორიას მიაკუთვნებდნენ „ადამიანთა ჯგუფებს,რომლებიც იყენებენ ძალადობრივ ქმედებებს,რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანების დაღუპვა ან სხეულის დაზიანება ან მიმართავენ ძალადობრივ მუქარას“.

ორი ტერორისტული აქტი- თავდასხმა და მკვლელობა ისრაელის სპორცმენებზე მიუნხენის 1972 წ ოლიმპიადაზე და თავდასხმა „ ნატივ მეირის“ სკოლაზე ქალაქ

[57] მაისაია ვ, ო. ბ. (2009). *" ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში.".* გვ: 75-79 . თბილისი.

მაალოტში 1974 წელს, მივიდნენ იმ აზრამდე რომ შეექმნათ სპეციალური ძალები ტერორიზმის წინაარმდეგ, ასევე მთავრობამ გააცნობიერა, რომ ვერც პოლიციელები ,ვერც სპეციალური დანიშნულების სამხედრო ძალები,რომლებსაც არ აქვთ მომზადება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვერ შეძლებენ ამაყად წინაღუდგნენ ახალ გამოწვევებს პელესტინელი ბოევიკების მხრიდან.

მიღებული პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური ანტიტერორისტული განყოფილებები: ერთი პოლიიის შემადგენლობით, მეორე ისრაელის სამხედრო ტავდაცვითი გენერალური შტაბის სპეცრაზმის შემადგენლობით, მესამე ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობით. 1985 წელს გადადგმულ იქნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში: ისრაელში შეიქმნა სკოლა ანტიტერორისტული ბრძოლის.მისმა შექმნამ საშუალება მისცა ცენტრალიზება მოეხდინა და შეექმნა ერთიანი გადამზადება სპეციალისტებისა,რომელიცსაშუალებას მისცემდა გაეუმჯობესებინა ურთიერთქმედება სხვადასხვა ერთეულებს შორის მათი ერთობლივი ქმედებების შემთხვევაში. სკოლა გახდა საგანმანათლებლო,მეთოდოლოგიური და საინფორმაციო ცენტრი, ასევე ახალი ტაქტიკის და სამოქმედო მეთოდების გამოცდის, იარაღისა და ტექნიკისტეს ტირების და აღჭურვილობის შეფასების ობიექტი.

მოგვიანებით ამ მიმართლებით ჩატარებლი მოქმედებებისა და ამ ქმედებების შედეგად დაშვებლი შეცდომების კვალზე , მიღებულ იქნა მკაფიო რეგულირება ანტიტერორისტულ ოპერაციაში ჩართო ყველა მხარე, რის შედეგადაც გამომუშევებულ იქნა ძირითადი მიმართულებები კონტრტერორისტული მოქმედებებისა, რომლებიც ამჟამად განსაზღვრავენ ისრაელის სტრატეგიას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისრაელის ანტიტერორისტული ცენტრის წამყვანი თანამშრომლის ბ.განარუს მიხედვით, ისრაელის სახელმწიფოს კონტრტერორისტული პოლიტიკის მთავარ მიზნებს დღეისათვის წარმოადგენს:

1. მინიმუმამდე დაიყვანონ ტერორისტების აქტირობა და მათ მიერ გამოწვეული ზარალი.

ისრაელის სახელმწიფო ებრძვის ტერორისტულ ორგანიზაციებს,რომლებიც ხშირად განლაგებულნი არიან არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, ამიტომ მათ არ ძალუძთ გაანადგურონ ეს ორგანიზაციები სამხედრო ძალით. როგორც კვე ავღნიშნეთ, მთავარ მიზანს წარმოადგენს შეამცირონ ტერორისტული თავდასხმების რაოდენობა, და მინიმუმამდე დაიყვანონ მათი მხრიდან გამოწვეული ზარალი.

2. ტერორისტული ჯგუფების განადგურება.

ტერორისტებისაქტივობის შემცირების მიზნით, ისრაელის თავდაცვითი ძალები ახორციელებენ თავდასხმებს ტერორისტულ დაჯგუფებებზე ტერორისტული აქტის ორგანიზების და მომზადების სხვადასხვა ეტაპზე: ბოევიკების მომზადების დროს,ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით მოძრაობისას,საზღვრის გადაკვეთისას, ისრაელის ტერიტორიაზე ყოფნის დროს და ტერორისტული თავდასხმების განხორციელებისას.

3. ტერორისტთა ლიდერებზე თვალყურის დევნება და მათი განადგურება.

რომელიც მოიცავს ელექტრონულ და ფიზიკურ თვალთვალს, მათი ლიდერების და აქტივისტების ადგილმდებარეობისას და გადაადგილებისას ასევე, წერტილოვანი და მეთოდური დარტყმები ბოევიკების ლიდერებზე, რომლებიც პირდაპირ პასუხისმგებელნი არიან ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და აღსრულებაში.

ისრაელში მიღებული კონტრტერორისტული დოქტრინის შესაბამისად, ფიზიკურიად უნდა განადგურდნენ არა მხოლოდ შემსრულებლები არამედ ორგანიზატორები,ასევე ტერორისტული ქმედებების იდეოლოგიური და ფინანსური შთამგონებლები. ასეთი ქმედების მაგალითია ორგანიზაცია ჰამასის ლიდერის შეიხი აჰმედ იასინი და მასთან ერთად მისი მემკვიდრე აბდელა იზიზა რანტისის განადგურება (2004).

4. თავდასხმები ტერორისტების ინფრასტრუქტურებზე.

ტერორისტების ინფრასტრუქტურაზე სამხედრო და სხვა თავდასხმები ბოევიკებს აიძულებენ მეტი რესურსები გამოიყენონ ტერორიტული აქტების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

5. ტერორისტული მორალის დარღვევა.

წარმატებული ანტიტერორისტული ოპერაციები არღვევენ ტერორისტების თავდაჯერებულობას თავიანთ ქმედებებში, ხელს უშლიან მათ ძალისხმევას გადაიბირონ ახალი მომხრეები და აშინებენ მონაწილეებს.

ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული საქმიანობა წარმოდგენილია ოპერატიული,თავდაცვითი და სადამსჯელო ღონისძიებებით.

- ოპერატიული ღონისძიებები

მის მოიცავს რელიეფის დაბომბვას, მოულოდნელ სადესანტო გადასხმებს,(ადგილზე შეჭრა) , საზღვაო ოპერაციებს და წერტილოვან თავდასხმებს ტერორისტების ლიდერების წინააღმდეგ.

- თავდაცვითი ღონისძიებები

მოიცავს შექმნან დაბრკოლება ტერორისტული დაჯგუფებების მოძრაობისას და მათი ტერაქტების განხორციელების მცდეობების ხელისშეშლას ისრაელის ტერიტორიაზე. მაგალითად „უსაფრთხოების კედლების“ შექმნა, რომელიც გამოყოფს ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიას პალესტინური მიწებისგან, ან ისრაელის და ეგვიპტის საზღვართან ელექტრონული ღობეების აღმართვა- ეილატიდან კერემშალომამდე,რომელიც ღაზას სექტორის სამხრეთ ნაწილის ბოლოშია.

- სადამსჯელო ღონისძიებები

ითვალისწინებს დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით ტერორისტული აქტების ხელმძღვანელები და შემსრულებლები (ტერორისტული ორგანიზაციების მომხრეებიდან პირადად შემსრულებლებამდე.

ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებების უწყვეტი პროცესი,რომელიც მიზნად ისახავს ტერორისტული საქმიანობისაგან მოქალაქეების დაცვას.დღესდღეობით, ქვეყანაში არსებობს მთელი რიგი კანონები,რომლის მიხედვითაც კრიმინალიზებულია გარკვეული ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორისტული აქტების ჩადენის განზრახვას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობს ტრორიზმის წინაარმდეგ გაძლიერებული სასჯელის სისტემა,რომელშიც შედის დაპატიმრება, ადმინისტრაციული დაკავება,გადასახლება, ტერორისტად აღიარებული პირების სახლების დანგრევა და დალუქვა.მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა გმობს ისრაელის მიერ ასეთ მეთოდების გამოყენებას , ქვეყნის ხელმძღვანელობა მიიჩნევს , რომ სახლების დარბევა ეფექტური ღონისძიებაა,რაც ხელს უწყობს ტერორისტული თავდასხმების თავიდან აცილებას.

ამჟამად ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული ძალები იყოფა 3 ჯგუფად:

- შეპყრობის ქვედანაყოფი

ისინი ასრულებენ ტყვეების განმაათავისუფლებელ და ტერორისტების გამანადგურებელ ოპერაციებს.მოიცავს იამამს (პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფი) „საერეთ მატკალი“ (მთავარი შტაბის მიერ დანიშნული სპეციალური ქვედანაყოფი), „შაეთეთ-13“ (სპეცრაზმი -სამხედრო საზღვაო ძალები) და ჯგუფი ლოტარ ეილატი (რომელიც სეციალრად არის პასუხისმგებელი ოპერაციებში ეილათის ქალაქის რაიონში მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე)

- ინტერვენციის ქვედანაყოფი

ისინი პასუხისმგებელნი არიან საოპერაციო ზონის დაცვასა,სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებასა და ელოდებიან შეპყრობის ქვედანაყოფს. ინტერვენციის ქვედანაყოფს შეუძლია პირდაპირ განახორციელოს ანტიტერორისტული ოპერაცია,მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტერორისტები დაიწყებენ მძევლების დახოცვას.

ინტერვენციის ქვედანაყოფი შედგება ისრაელის თავდაცვის ძალებისაგან და თითოეულ მათგანს მიაკუთვნებენ 3 სამხედრო ოლქს.

- ჩრდილოეთის ოლქი- ქვეითი ბრიგადა „გოლანი“
- ცენტრალური ოლქი - საპარაშუტო-სადესანტო სადაზვერვო ;სადაზვერვო ქვეითი ბრიგადა ნახალ;სპექვედანაყოფი „მისტარავიმ“ –„წარმოსახვითი არაბები“
- სამხრეთის ოლქი - სადაზვერვო ქვეითი ბრიგადა „გივანი“

  როლებისა და ამოცანების განსხვავების გამო, ინტერვენციის ქვედანაყოფი ცნობილია როგორც „გარე წრის“ ერთეულები და შეპყრობის ქვედანაყოფი როგორც „შიდა წრის“ ერთეული.

- ➢ მხარდაჭერის ქვედანაყოფი

ეხმარება ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებაში შეპყრობისა და ინტერვენციის ერთეულებს,რომელიც მოიცავს განადგურების(გამნაღმველ) ჯგუფს (საინჟინრო ჯარების სპეციალური ერთეული), ელექტრონული კონტროლის ჯგუფი(რომლებიც პასუხისმგებლები არიან რადიო კავშირზე ოპერაციის ზონაში და ტერორისტების რადიოკავშირების დაბლოკვაზე), კომპიუტერული დაგეგმარების ჯგუფი (რომლებიც ქმნიან შენობის და სამიზნის სამგანზომილებიან მოდელს), და სხვა მომსახურებებს.

მშვიდობის დროს საშტატო გრაფიკის მიხედვით,შეპყრობის ქვედანაყოფი ვალდებულია შეინარჩუნოს მებრძოლთა 2 ჯგუფი მუდმივ მზადყოფნაში, ინტერვენციის

ქვედანაყოფიდან 1 ჯგუდი და მხარდაჭერის ქვედანაყოფიდან 1 ჯგუფი. მუდმივი მზადყოფნის სტატუსი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი მზად იქნება საოპერაციო ადგილზე გასასვლელად ბრძანების მღებიდან 15 წუთში. ჯგუფის წევრების გადაყვანა ხორციელდება სპეციალური აღჭურვილი მიკროავტობუსებით (თითოეულ მანქანას გადაყავს იარაღი,აღჭურვილობა და 7 მებრძოლი, ან ვერტმფრენით.

ომის დროს, მუდმივ მზადყოფნის რეჟიმში მყოფი ჯგუფების რაოდენობა მცირდება,რადგან თვლიან რომ,მხარდაჭერისა და შეპყრობის ერთეულები შეასრულებენ ოპერაციებს ფრონტის ხაზის მიღმა, ამიტომ ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელების დროს პოლიციის სტრუქტურები იქნება ჩართული როგორც ინტერვენციის ერთეული.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე , ისრაელის თავდაცვის ჯარების უმრავლესი სპეცდანაყოფი , მიუხედავად იმისა რომ არ წარმოადგენს შეპყრობის, ჩარევის ან ინტერვენციის ქვედანაყოფებს, მაინც გადიან ანტიტერორისტული საქმიანობის კურსებს.

ზუსტად ეს ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული ქმედებების კარგად ჩამოყალიბებული სისტემა საშუალებას აძლევს ისრაელის სახელმწიფოს, თავიდან აიცილოს პალესტინელი მებრძოლების მუდმივი თავდასხმები და ადრეულ ეტაპზე დაგეგმილ ტერორისტული აქტების 80%-ი. [58]

3.3 მსოფლიოს საუკეთესო სპეცსამსახური „მოსადი“

1942 წლიდან არსებობდა ერთიანი ოფისი „შერუთ ედიოთ“ ან შემოკლებით „შაი“, რომელიც ასრულებდა სადაზვერვო და კონტრდაზვერვით ფუნქციებს. „შაი“ ავერბოვკებდა აგენტებს ბრიტანული მანდატის ხელისუფლების ორანოებში და

[58] Епштеин, В. (2005). *Контртеппопистическая политика Государства Израель,* . Получено из law.edu.ru: http://www.law.edu.ru/doc/document.asp?docID=1219108

არაბულ გარემოში. წინააღმდეგობას უწევდა მტრის აგენტების „ჰაგან-ში“ და „ებრაული საგენტოს“ შემადგენლობაში შეღწევას.ებრძოდა,რადიკალური ებრაულ ორგანიზაციებს ,როგორიცაა „ლეხი“.

1948 წლის 30 ივნისს „შაის“ ხელმძღვანელმა ისსერ ბეერიმ პრემიერ-მინისტრ ბენ-გურიონის ინიციატივით შეკრიბა განყოფილების ხელმძღვანელები,რომელზეც მან გამოაცხადა ამ სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ ბრიტანული მოდელის მიხედვით. უცხოური დაზვერვა მიაკუტვნეს სამხედრო დაზვერვას და „მახლეკეტ ა- მეხკარი“ პოლიტიკური მმართველობა საგარეო საქმეთა სამინისტროს. კონტრდაზვერვით და შიდა უსაფრთხოებით დაკავდა „გენერალური უშიშროების სამსახური'“.

1949 წლის 13 დეკემბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გურიონმა ხელი მოაწერა საიდუმლო წერილს საგარეო საქმეთა სამინისტროში,სადაც საუბარი იყო ორგანიზაციულ გაერთიანებაზე ყველა სადაზვერვო სამსახურის რეუვენ შილოოს ხელმძღვანელობით, პრემიერ-მინისტრის პირადი დაქვემდებარებით. ამის შედეგად შილოახი გახდა პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო პოლიტიკაში და სტრატეგიულ საკითხებში.

„ ჩემი (ბენ გურიონის) ინსტრუქციის ტანახმად დაზვერვისა და უშიშროების სამსახურების კონცენტრაციის და კოორდინაციის მიზნით შეიქმნა დაწესებულება (მოსადი).მე საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველს სპეცოპერაციების საკითხებში რეივენ შილოაჰს,დავავალე მოსადის ორგანიზება და მის დირექტორად მუშაობა.

რეივენ შილოაჰი იმუშავებს ჩემი ხელმძღვანელობით,იმოქმედებს ჩემი ინსტრუქციებით და მე მომახსენებს გაწეული მუშაობის შესახებ.თუმცა ორგანიზაციულად მისი დაწესებულება დარჩება საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში” [59]

[59] *Писмо давида Бен-Гуриона О создании «Моссада»* . (n.d.). Retrieved from wikilivres.ru: http://wikilivres.ru/%D0%9F%D0%B8%D1%81%D1%8C%D0%BC%D0%BE_%D0%94%D0%B0%D0%B2%D0%B8%D0%B4%D0%B0_%D0%91%D0%B5%D0%BD-%D0%93%D1%83%D1%80%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0_%D0%BE_%D1%81%D0%BE%D0%B7%D0%B4%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B8_%C2%AB%D0%9C%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B0%D0%B4

1951 წლის 2 მარტს ბენ-გურიონის ბრძანებით შეიქმნა დამოუკიდებელი ცენტრალური ორგნო სადაზვერვო საქმიანობის ჩასატარებლად. ამ ორგანომ სახელწოდება მიირო „ხა-რაშუტ“ („დეპარტამენტი“).მის ხელმძღვანელად დაინიშნა ხაიმ იააარი. „ხა-რაშუტ“ ტავსი შექმნის დღიდან წარმოადგენს მოსადის ძირითად დეპარტამენტს. ასევე მოიცავდა ორი სხვა სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებს, როგორც საშტაბო ისე ოპერატიულ დონეზე. მოწინააღმდეგეების „მახლეკეტ ა-მეხკარის’ გადაცემულ იქნენ სამხედრა დაზვერვის დაქვემდებარებაში.ამ ფორმით უცხოური დაზვერვა გავიდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან და დაექვემდებარა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობას.ეს არის სპეცსამსახურის მუშაობის სქემა,რომელიც შეიქმნა ამერიკული მოდელის მიხედვიტ და დღემდე გრძელდება.

„მოსადი“ შემოკლებული სახელია „ჰამოსად ლემოდიინ ულეთაფკიდიმ მეიუხადიმ“-ისა „დაზვერვისა და სპეციალური დანიშნულების ინსტიტუტი“

ოფიციალურად მოსადი შექმნილ იქნა 1951 წლის 1 აპრილს, როდესაც გაერთიანებულ იქნა ორი ორგანიზაცია: „კოორდინაციის ცენტრალური ინსტიტუტი“ და „დაზვერვისა და უსაფრთხოების ცენტრალური ინსტიტუტი“. მის დირექტრად დანიშნულ იქნა რეუვენ შილოახ პირდაპირ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში.შილოახმა შეიმუშავა ტერორისტული ბაზა და ისრაელის დაზვერვის მუშაობის მთავარი პრინციპები , რომელიც დღესაც გრძელდება.

რეუვენ შილოახ იყო კარგი თეორეტიკოსი. 1952 წლის 12 სექტემბერს ის გადადგა თანამდებობიდან.

შილოახის გადადგომის შემდეგ მოსადის დირექტორის თანამდებობა და ამავდროულად მთელი დაზვერვის კურატორის პოსტი დაიკავა ისსერ ხარელმა. ამ თანამდებობაზე იყო 1963 წლის 26 მარტამდე. დავიდ ბენ-გურიონი მას ეძახდა „მემუნე“ (პასუხისმგებელი). ის ერთდროულად მართავდა სპეცსამსახურების ხელმძღვანელების გაერთიანებულ კომიტეტს და იყო პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თავდაცვიტ და უსაფრთხოების საკითხებში. მტელი 11 წლის მანძილზე ხარელ იყო მეორე ადამიანი

სახელმწიფოში, ერთპიროვნულად მარტავდა ყველა სპეცსამსახურს და მხოლოდ პრემიერ-მინისტრისს წინაშე იყო პასუხისმგებელი.

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ხარელმა მოახერხა და ბენ-გურიონისგან მიირო „მოსადის“ ბიუჯეტის გაათმაგება და მოახდინა ორგანიზაციის მუშაობის რეორგანიზაცია. ამასთან ერთად შექმნილ იქნა სპეციალური სკოლა აგენტების მოსამზადებლად და მკაცრი სტანდარტების დასამყარებლად კადრების შესარჩევად და ამბობდა :

„მე მჭირდება ადამიანები,რომლებიც უკმაყოფილონი არიან მკვლელობით,მაგრამ,რომელთაც, მიუხედავად ამისა, შეიძლება ასწავლო მოკვლა“ (ი.ჰარელი)

ხარელი თვლიდა რომ მოსადს კომპენსირება უნდა მოეხდინა რესურსებს შორის განსხვავება ისრაელსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის.

„ ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ მტრებით,რომლებიც ბევრად აღგვემატებიან რიცხოვნობით, აქედან გამომდინარე, ჩვენ იძულებულნი ვართ განვავითაროთ ჩვენი დაზვერვა რაცშეიძლება. ის გვემსახურება ჩვენ როგორც გრძელი ხელი,რომელიც გვეხმარება დროისა და სივრცის ნაკლებობის საკომპენსაციოდ“

მოსადი დაკავებულია დაზვერვის ინფორმაციის შეგროვებით და ანალიზით,ასევე საიდუმლო სპეციალური ოპერაციებით ისრაელის სახელმწიფოს გარეთ.

მოსადის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- ქვეყნის გარეთ, საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება
- ქვეყნის გარეთ, ტერორისტული საქმიანობის შეჩერება რომელიც მიმართულია ისრაელის და ებრაული ობიექტების წინააღმდეგ
- ქვეყნის გარეთ, სპეციალური საიდუმლო კავშირების განვითარება და შენარჩუნება.

- მოწინააღმდეგე ქვეყნების მიერ არატრადიციული იარაღის შენახვისა და შეძენის პრევენცია
- იმ ქვეყნებიდან ებრაელების რეპატრიაციის განხორციელება,რომლიდანაც ოფიციალურად გამგზავრება ისრაელში შეუძლებელია.
- სტრატეგიული,პოლიტიკური და ოპერატიული სადაზვერვო ინფორმაციის მიღება
- განსაკუტრებული ოპერაციების შესრულება ისრაელის სახელმწიფოს გარეთ.

მოსადის მთლიან საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორატი, რომელიც შედგება დირექტორის,მისი მოადგილეებისა და ადმინისტრაციული სამსახურებისაგან.მოსადის დირექტორი არის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელთა კომიტეტის წევრი და პირდაპირ ექვემდებარება ისრაელის პრემიერ-მინისტრს.

დირექტორატს ექვემდებარება შემდეგი დეპარტამენტები:

- ოპერატიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტმაენტი

უმსხვილესი დეპარტამენტი,მართავს ყველა ჯაშუშურ აქციებს და აქვს ფილიალები მთელს მსოფლიოში. ნაწილობრივ საიდუმლოა, მათი ნაწილი კი ისრაელის საკონსულოებს ექვემდებარება სხვა სახელმწიფოებში. მართვა განეკუთვნება რეგიონალური კუთვნილების მიხედვით.მთავარი რეზიდენციები რომში და ლონდონშია.

- არაბული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი .

დაკავებულია არაბული ტერორისტული ორგანიზაციების მონაცემთა შეგროვებით და ანალიზით

- ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტი.

უზრუნველყოფს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას პოლიტიკოსებისთვის და ხელმძღვანელობისთვის.

- პოლიტიკური მოქმედებების და საგარეო დაზვერვის სამსახურებთან ურთიერთობის სამსახური.

კოორდინაციას უწევს ისრაელის მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობას და ინარჩუნებს კონტაქტებს იმ ქვეყნებთან,რომლებსაც არ აქვთ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელტან. უფრო მსხვილ საკონსულო დეპარტამენტებში არიან ამ დეპარტამენტის ტანამშრომლები.ის ასევე დაკავებულია ისრაელის იარაღს საზღვარგარეთ გაყიდვით.

- კვლევითი დეპარტამენტი.

აკეთებს რეგულარულ ანგარიშს სხვადასხვა რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ.იგი დაყოფილია 15 რეგიონულ ჯგუფად,ძირითადი ყურადღება ეთმობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. ცალკე, არსებობს ჯგუფი,რომელიც დაკავებულია ბირთვული იარაღის საკიტხებით

- ოპერატიულ-ტექნიკური დეპარამენტი.

დაკავებულია მოსადის ოპერაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველტოფით,სპეციალური მომსახურების საჭირო ტექნიკური საშუალებების განვითარებით.სრუქტურაში შედის სამი დეპარტამენტი: საოპერაციო ტექნიკის,ფოტო და ვიდეო გადაღების დეპარტამენტი, ასევე შენობაში შეღწევის განყოფილება.

- ელექტრონული დაზვერის განყოფილება.

დაკავებულია ელექტრონული ინფორმაციის შეგროვებით,მათ შორის მოსასმენი მოწყობილებების მეშვეობით.

- ფსიქოლოგიური ომისა და დეზინფორმაციის მართვის დეპარტამენტი.

ჩართულია ფსიქოლოგიური ომის,პროპაგანდისა და თაღლითური მანევრების განვითაების საქმეში.

- სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი.

ჩართულია ძალისმიერ ქმედებებში.

- სპეცდანაყოფი „კიდონ“.

დაკავებულია ტერორისტების ფიზიკური განადგურებით. შედგება 3 ჯგუფისგან თითოში 12 მებრძოლი

- ფინანსების და კადრების მართვის დეპარტამენტი.

ასრულებს უზრუნველყოფის ფუნქციებს

- სასწავლო დეპარტამენტი.

დაკავებულია თანამშრომლებისა და აგენტების მომზადებით. სასწავლო დეპარტამენტის სტრუქტურაში მოსადის აკადემია, სადაც სასწავლო გაკვეთილები მიყავთ მხოლოდ მოქმედ თანამშრომლებს.

ზემოთ ჩამოთვლილ „მოსადში“ შემავალი დეპარტამენტების გარდა, მოსადი მოიცავს კონტრდაზვერვის ერთეულებს და ყოფილი ნაცისტების ძიების მცირე ჯგუფს.

ბუნებრივია „მოსადის“, როგორც სხვა ქვეყნების სპეცსამსახური, ხშირად იცვლება ორგანიზაციული სტრუქტურა და ახალი ქვედანაყოფების შექმნა ან ძველის რეორგანიზაცია,მაქსიმალურად გასაიდუმლოებული რჩება.

მოსადის დირექტორები სხვადასხვა წლებში იყვნენ:

1. რეივენ შილოაჰი (1949-1952)
2. ისერ ჰარელი (1952-1963)
3. მეირ ამითი (1963-1968)
4. ცვი ცამირი (1968-1974)
5. იცჰაკ ჰოფი (1974- 1982)
6. ნაჰუმ ადმონი (1982-1989)
7. შაბთაი შავითი (1989-1996)
8. დანი იატომ (1996-1998)

9. ეფრაიმ ჰალევი (1998-2002)
10. მეირ დაგანი (2002-2011)
11. თამირა პარდო (2011-2016)
12. იოსი კოენ (2016-დღემდე)[60]

„მოსადი“ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტისაა და ბევრი ახსოვს გამარჯვებაც და სამარცხვინო მარცხიც,რომლებიც მსოფლიოს სპეცსამსახურების ისტორიაშია შესული.საკმარისია რამოდენიმე მადგანის ჩამოთვლა, რომ მათი მოქმედების არეალის შესახებ შეგვექმნას წარმოდგენა: საბჭოთა ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის 1956 წელს „სტალინის კულტის“ შესახებ გაკეთებული საიდუმლო მოხსენების ხელში ჩაგდება; 1960 წელს საერთაშორისო დამნაშავის,მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების ჯალათის, ნაცისტი ადოლფ ეიჰმანის მოტაცება და ისრაელში ჩაყვანა გასასამართლებლად; 1986 წელს ისრაელის ატომური პროექტის გამცემი მორდეჰაი ვანუნუს რომიდან მოტაცების სპეცოპერაცია; თუნისში 1988 წელს აბუ ჯიჰადის ლიკვიდაცია და სხვა.

წარმატებებს თან ახლდა წარუმატებლობაც, ისრაელში არასოდეს დაავიწყდებათ „მოსადის“მარცხიანი სპეცოპერაციები. დიდი ტრაგედია და სკანდალი მოჰყვა 1973 წლის ივლისში ნორვეგიის ცნობილ ზამთრის კურორტ ლილეჰამერში განხორციელებული სპეცოპერაციის დროს, როდესაც პალსტინელი ტერორისტი ალი სალამეჰის მაგივრად, შეცდომით სრულიად უდანაშაულო ადამიანი,მაროკოელი ოფიციანტი აჰმედ ბუჩიკი მოკლეს. ასევე საერთაშორისო სკანდალით დასრულდა იორდანიის დედაქალაქ ამანში 1997 წლის 25 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმა „ჰამასის“ერთ-ერთ ლიდერ ჰალედ მაშალზე.

„მოსადის“ ლეგენდარული ოპერაცია 20 წამი, რომელმაც 1960 წელს მსოფლიო შეძრა, რომელმაც ისერ ჰარელს მსოფლიო აღიარება მოუტანა და ლეგენდად აქცია და

[60] https://ru.wikipedia.org. (б.д.). *Моссад*. Получено из ru.wikipedia.org : https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B0%D0%B4

რომელსაც ის პირადად კურირებდა,1960 წლის 11 მაისს არგენტინის, ქალაქ ბუენოს აირესში განხორციელდა.

1960 წლის 11 მაისი. ქ. სან ფერნანდო (28 კმ ბუენს აირესიდან). 20:05 საათი. გარიბალდის ქუჩისა და 202 ნომერი გზის გზაჯვარედინზე მდებარე ავტობუსის გაჩერებაზე, 203-ე ნომერი ავტობუსიდან ვინმე რიკარდო კლემენტე ჩამოვა, სინამდვილეში კი WaffenSS- ის ობერშტურმბანფიურერი(ფაშისტური გერმანიის ესესელების ოფიცრის წოდება), ჰოლოკოსტის არქიტექტორი, ადოლფ ეიხმანი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, წლეებია არგენტინაში იმალება.

ავტობუსის გაჩერებიდან სახლისაკენ მიმავალი, გარიბალდის ქუჩაზე რამდენიმე ათეულ მეტრს გაივლის,როდესაც ტროტუარზე გაჩერებული და ვითომ გაფუჭებული მანქანის ირგვლივ მყოფი მამაკაცებიდან ერთერთი,კერძოდ , „მოსადის“ აგენტი პიტერ მალკინი, ესპანურად მიმართავს: Un momentito, senor. ამ ფრაზის წარმოთქმიდან ადოლფ აიხმანის დაკავებამდე 20 წამი გავა. ის 20 წამი,რომელიც 1960 წელს მსოფლიოს შეძრავს.

ადოლფ ეიხმანი კონსპირაციულ ბინაში გადაიყვანენ, სადაც „მოსადის“ აგენტებს ის 9 დღის განმავლობაში ეყოლებათ დამწყვდეული. ისინი საბოლოოდ მიიღებენ მტკიცებულებებსა და აღიარებას,რომ პირი, რომელსაც წლების განმავლობაში ეძებდნენ და რომელიც უშუალოდ კურირებდა 6 მილიონი ებრაელის ფიზიკურ განადგურებას, რეალურად ადოლფ ეიხმანია.

20 მაისს, აიხმანი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ და ყალბი დოკუმენტებით არგენტინის ტერიტორიიდან გაიყვანეს. 22 მაისს, ისრაელის პრემიერ-მინისტრი დავიდ ბენ გურიონი გამოაცხადებს, რომ ადოლფ ეიხმანი ისრაელშია და მართლმსაჯულებას გადაეცემა.

ეს იყო „მოსადის“ პირველი მასშტაბური და უნიკალური ოპერაცია და ერთგვარი მესიჯი, რომ ისრაელის სახელმწიფო თავის მტრების დასჯაში მხოლოდ ტავისი

ტერიტორიით არ შემოიფარგლება,რაც დამტკიცდა მომდევნო წლებში, „მოსადის“ მიერ ჩატარებული არაერთი უპრეცედენტოოპერაციების ფარგლებში. [61]

ოპერაცია „ოპერა“ ცნობილია როგორც „ვავილონი“ ეს იყო სამხედრო ოპერაცია ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალების მიერ ჩატარებული ფრანგული წარმოშობის ატომური რეაქტორის გასანადგურებლად ერაყის ტერიტორიაზე 1981 წლის ივნისში.

1975 წ პარიზში ჩაფრინდა სადამ ჰუსეინი (იმ პერიოდში ერაყის პრემიერ-მინისტრი იყო), მისი ჩაფრენის მიზანი იყო გაეფართოვებინა თანამშრომლობა ერაყსა და საფრანგეთს შორის ატომური ენერგიის სფეროში. 1976 წელს მათ მოაწერეთ ხელი თანამშრომლობას. ერაყმა საფრანგეთისგან იყოდა ატომური რეაქტორი „ოსირაყი“. ფრანგული რეაქტორი ერაყს საშუალებას მისცემდა წელიწადში 10 კგ პლუტონიუმი ეწარმოებინა და დაახლოებით 1985 წლისთვის ერაყი 5 ატომური ბომბის მფლობელი იქნებოდა. ისრაელის დიპლომატიური მიზანი იყო დაერწმუნებინა საფრანგეთი შეეწყვიტა ერაყის დახმარება ატომურ სფეროში თუმც უშედეგოდ. 1981 წლის 7 ივნისს ისრაელის ავიაციამ F-16A და F-15A განახორციელა საჰაერო დარტყმა ერაყულ რეაქტორზე „ოსირაყი“ და სერიოზულად გაანადგურ. რეაქტორის კომპლექსი ძალიან დაზარალდა და არსადგენად უვარგისად ჩაითვალა. 11 ადამიანი - 10 ერაყელი ჯარისკაცი და 1 ფრანგი ტექნიკური მუშა- იქნა მოკლული.[62]

ოპერაცია „ღვთის რისხვა“ 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე მომხდარი ტერორისტული ტავდასხმის გამო ისრაელის მთავრობამ შეიმუშავა შურისძიების გეგმა სახელად „ღვთის რისხვა“, რომლის მიზანი იყო გაენადგურებინა პალესტინელი ტერორისტები ორგანიზაცია „შავი სექტებრის“, როლებიც კავშირში იყვნენ ამ

---

[61] დგებუაძე, კ. (თ. გ.). *„მოსადი“-ლეგენდები და სინამდვილე მსოფლიოს საუკეთესო სპეცსამსახურზე.* დაბრუნებული ambebi.ge: https://www.ambebi.ge/article/199637-mosadi-legendebi-da-sinamdvile-msoplios-sauketeso-specsamsaxurze/-დან

[62] *Операция «Опера»*. (б.д.). Получено из ru.wikipedia.org: https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9E%D0%BF%D0%B5%D1%80%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F_%C2%AB%D0%9E%D0%BF%D0%B5%D1%80%D0%B0%C2%BB

ტერაქტთან. უკვე 1973 წლის ივნისისთვის მოკლულ იქნა 13 პირი დამნაშავეთა სისიდან (ჯამში სიაში 17 პირი იყო).

„ღვთის რისხვა“ რომელიც 20 წელი გაგრძელდა არ შეიძლება მთლად წარმატებულად ჩაითვალოს,რადგან მიუნხენის ტერაქტის მტავარი იდეოლოგიდა ორგანიზატორი აბუ დაუდუ გადაურჩა რამოდენიმე მკვლელობის მცდელობას და თავისი ბუნებრივი სიკვდილით დაიღუპა 2010 წელს. გარდა ამისა „მოსადმა“ დაუშვა შეცდომა 1973 წელს ნორვეგიელი მოქალაქის მკვლელობით.[63]

მოსადის ლეგენდარული N1 აგენტი ელი კოენი 1924 წლის 16 დეკემბერს, ეგვიპტეში, ებრაელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. 1949 წელს მისი ოჯახი ისრაელში გადასახლდა, თუმცა ეი კოენი ეგვიპტეში დარჩა. 50-იანი წლების დასაწყისში ეგვიპტეში დააკავეს ისრაელის აგენტები - მოშე მარზუკი და სემი ეზერი, მათტან ერთად ელი კოენიც. კოენს გაუმართლა. ის დაკითხვაზე არა „მუჰაბარათში“(სახელმწიფო უშიშროების სამსახური), არამედ პოლიციაში მოხვდა და თავი გადაირჩინა.პოლიციელმა დაუჯერა მის ვერსიას,რომ მხოლოდ ბინის დაქირავებაში დაეხმარა ებრაელ მუშებს და არც კი იცოდა თუ რას საქმიანობდნენ ისინი ეგვიპტეში. მიუხედავად ამისა, 1956 წელს ეგვიპტის ხელისუფლებამ გააძევა ის ქვეყნიდან, როგორც „არასაიმედო ებრაელი“.

ელი კოენი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ისტორიულ სამშობლოში. როგორც კი ისრაელში აღმოჩნდა, „მოსადში“ შეიტანა საბუთები, თუმცა უარი მიიღო. 1960 წელს ელი კოენით ისრაელის სამხედრო დაზვერვა „ ამანი“ დაინერესდა. მან ინტენსიური მოსამზადებელი კურსი გაიარა, ინსტრუქტორები აღფრთოვანებულები იყვნენ მისი ინტელექტით, ერუდიციით და არაბული ენის ცოდნით. კურსის დამთავრებისთანავე, ელი კოენი „მოსადში“ ჩარიცხეს. „მოსადის“ ლეგენდის თანახმად, ელი კოენი უნდა გამხდარიყო სირიელი ბიზნესმენი და ჩანერგილიყო სირიის ხელისუფლებასთან

[63] *операция «гнев божи“ (1972-92)/*. (б.д.). Получено из guide-israel.ru: https://guide-israel.ru/history/28697-operaciya-gnev-bozhij-1972-92/

დაახლოვებულ წრეებში. ამ მნიშვნელოვანი დავალების შესრულება ელი კოენმა არგენტინიდან დაიწყო...

1961 წლის 6 თებერვალს, ელი კოენი ბუენოს აირესში გაემგზავრა ქამალ ამინ თავათის სახელით,სადაც კონტაქტები დაამყარა სირიელ დიპლომატებთან და ბიზნესმენებთან.სულ ორი კვირა დასჭირდა ელი კოენს იმისათვის, რომ შინაური გამხდარიყო დიპლომატიურ მიღებებზე.დაუმეგობრდა სირიის საელჩოს სამხედრო ატაშეს, ამინ ალ-ჰაფეზს,რომელიც ფარულად იყო პარტია „ბაასის“ წევრი (იმ დროს ეს პარტია არალეგალურად იყო გამოცხადებული სირიაში). 1961 წლის ზაფხულს, ამინ ალ-ჰაფეზი სირიაში დაბრუნდა და პარტიულ იერარქიაში წამყვანი პოზიცია დაიკავა. 1962წლის 10 იანვარს თვით ელი კოენიც ჩავიდა სირიაში. არგენტინაში გაცნობილი სირიელი „მეგობრების“ დახმარებით ის დაუახლოვდა სირიის გენერალური შტაბის უფროსის ძმისშვილს, ლეიტენანტ კარიმ ზაჰერის, სამხედრო ელიტის წარმომადგენლებს და რაც მთავარია, ის უკვე იყო გენერალ ამინ ალ-ჰაზეფის, პარტია „ბაასის“ ლიდერის ახლო მეგობარი.მალე სირიის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ელი კოენზე,როგორც სირიის პატრიოტზე ალაპარაკდნენ.

1963 წლის მარტს,სირიაში მორიგი სამხედრო გადატრიალება მოხდა. ხელისუფლებაში პარტია „ბაასი“ მოვიდა.სირიის პრეზიდენტი კი ამინ ალ-ჰაფეზი გახდა- ელი კოენის მიერ არგენტინაში გაცნობილი სამხედრო ატაშე და „მეგობარი“.აქედან გამომდინარე, ელი კოენს ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო ინფორმაციაზე.უფრო მეტიც, მას შესთავაზეს ოფიცრის თანამდებობა უშიშროების მთავარ სამმართველოში,სადაც პოლკოვნიკის წოდებაც კი მიიღო.სირიის პრეზიდენტისთვის ელი კოენი ერთ-ერთი ყველაზე სანდო ადამიანი იყო,რომელსაც ხშირად რჩევებსაც სთხოვდა სახელმწიფო და სამხედრო მნიშვნელობის საქმეებთან დაკავშირებით. კოენი მას რჩევებს სწრაფად არასოდეს აძლევდა. სტხოვდა გარკვეულ დროს, რათა საკითხის არსში გარკვეულიყო. ამ დროს კი ამ ინფორმაციას ცენტრში გადასცემდა და „მოსადის“ სამხედრო სპეციალისტების მიერ მომზადებულ პასუხს, სირიის პრეზიდენტს მეგობრული რჩევის სახით აძლევდა.

მალე სირიის პრეზიდენტმა (ქამალ ამინ თავათი (ელი კოენი) ტავის სამხედრო მრჩევლად დანიშნა. ეს კი ნიშნავდა იმას,რომ „მოსადის“ აგენტი, ებრაელი ელი კოენი სირიის მაღალ ეშელონებში სრული სანდოობით სარგებლობდა. უფრო მეტიც, ის უკვე იმ სამეულში შედიოდა, ვინც მომავალში სირიის რეზიდენტად მოიაზრებოდა. ელი კოენს ჰქონდა თავისუფალი წვდომა ნებისმიერ სამხედრო ნაწილზე ან ობიექტზე, ის ნებისმიერი სამხედრო მოლაპარაკებების საქმის კურსში იყო. აქედან გამომდინარე, ისრაელის დაზვერვა უნიკალურ ინფორმაციას იღებდა იმ ქვეყანაზე, რომელიც მისი ერთ-ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგე იყო...

1964 წელს, ელი კოენი ხშირად გადასცემდა რადიოგრამებს „მოსადში“, ვინაიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მასტან, მისი პოზიციებიდან გამომდინარე, თითქმის ყოველდღიურად მიდიოდა.რადიოგრამების ხშირმა გაგზავნამ გარკვეული დაბრკოლება შეუქმნა ინდოეთის საელჩოს კავშირგამბულობას(ინდოეთის საელჩოს შენობა ელი კოენის სახლის ქუჩაზე მდებარეობდა). ეს კოენმა იცოდა თუმცა რადიოგრამების გაგზავნა არ შეუწყვეტია. სირიის სპეცსამსახურებმა ამ საკითხის შესწავლა დაიწყეს, თუმცა სათანადო ტექნიკა არ გააჩნდათ. ამ დროს საბჭოთა კავშირიდან მათ ახალი პელენგატორები მიიღეს და მალე გაირკვა ინდოეთის საელჩოს კავშირგაბმულობის ხაზის დაბრკოლების მიზეზი. ამან სირიის ხელისუფლებაში ბევრი შოკში ჩააგდო.

1965 წლის 18 იანვარს, დილის 08:30 საათზე, კოენი როგორც ყოველთვის რადიოგრამას ელოდებოდა ისრაელიდან. უეცრად კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ვერც კი მოასწრო ორი ნაბიჯის გადადგმა,როდესაც მის ბინაში შეიარაღებული ჯგუფი შევარდა...

სირიის პრეზიდენტი საშინლად იმედგაცრუებული იყო,როდესაც გაიგო, რომ მისი მეგობარი,რომელსაც იცნობდა როგორც სირიელი,რომელსაც ენდობოდა,უზიარებდა საიდუმლო სახელმწიფო საკითხებს,რომელსაც მემკვიდრედ დატოვებას უპირებდა, აღმოჩნდა ებრაელი და თან „მოსადის“ აგენტი... გამოძიებისას ელი კოენს სასტიკად აწამებდნენ.გაიმართა სასამართლო პროცესი. 1965 წლის 18 მაისს ელი კოენი

დამასკოსს ცენტრალურ მოედანზე ჩამოახრჩვეს. დღემდე მისი ცხედარი სირიაშია- სირიის ხელისუფლება კატეგორიულ უარზეა ისრაელს ელი კოენის გვამი გადასცეს..[64]

3.4 ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი ტერორისტული ორგანიზაციები

ჰამასი - პალესტინის ისლამური სუნიტური მოძრაობა, რომლის სახელწოდება არის აკრონომი ფრაზისა „ჰარაკატ ალ-მუქავამაჰ ალ-ისლამიიაჰ“, რაც არაბულად ითარგმნება როგორც „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“. ოფიციალურად დაარსდა 1987 წელს და წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მართავს ღაზას სექტორს დაწყებული 2007 წლის ივლისიდან. თუმცა, აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად რიგი ქვეყნების მიერ, რომელთა შორისაც არიან ისრაელი, კანადა, აშშ, იაპონია და ეგვიპტე. ამ უკანასკნელმა ცოტახნის წინ უარი თქვა თავის თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე, იორდანიის ტერიტორიაზე კი პარტიის ყველანაირი სახის აქტივობა აკრძალულია. ბრიტანეთმა და ავსტრალიამ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარეს მხოლოდ ჰამასის სამხედრო ფრთა, ხოლო ირანი, რუსეთი, თურქეთი, ჩინეთი და ყატარი მას ტერორისტულ ორგანიზაციად არ აღიარებენ. მას კავშირები აქვს ისეთ ტერორისტულ გაერთიანებებთან, როგორიცაა ეგვიპტური „მუსლიმ ძმებთან ერთიანობა“ და „პალესტინის ისლამური ჯიჰადი“, რომელთა წინააღმდეგაც მრავალი ქვეყანა გამოდის. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჰამასი ეწევა აქტიურ ტერორისტულ საქმიანობას. ამის მსხვერპლი ხშირად ხდება უდანაშაულო მოსახლეობა, რის გამოც ჰამასის ქმედებები აღიარებულია სამხედრო დანაშაულად და იგმობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ჰამასმა განაცხადა, რომ მისი მიზანი, ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებლის, აბდელ აზიზ ალ-რანტის სიტყვებით, არის „ისრაელის განადგურება“, რაც მის ქარტიაშიც იქნა ჩაწერილი. ხოლო ორგანიზაციის შემქმნელმა, შეიხმა აჰმედ იასინმა

[64] *მოსადი“-ლეგენდები და სინამდვილე მსოფლიოს საუკეთესო სპეცსამსახურზე.* (თ. გ.). დაბრუნებული ambebi.ge: https://www.ambebi.ge/article/199637-mosadi-legendebi-da-sinamdvile-msoplios-sauketeso-specsamsaxurze/-დან

1987 წლის 14 დეკემბერს, როცა ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, განაცხადა, რომ „ყოველი ებრაელი შეიძლება გამოცხადდეს სამხედრო მოსახლედ და ჩვენი ვალდებულებაა გავანადგუროთ ის“ და „პალესტინის გათავისუფლება ზღვიდან მდინარე იორდანემდე ჩვენი სტრატეგიული მიზანია და მასზე წმინდა და მნიშვნელოვანი მისია არ არსებობს“.

ჰამასის მიმართ შექმნილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. აშშ-ს ექსპრეზიდენტის, ჯიმი კარტერის აზრით, იგი არ არის ტერორისტული დაჯგუფება და მასთან სავსებით შესაძლოა მოლაპარაკებების გამართვა. მისი სიტყვებით, მას ჰქონდა საუბარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან და ისინი თანახმანი იყვნენ, ეცნოთ ისრაელი 1967 წლამდე დადგენილ საზღვრებში. ამ აზრის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ ჰამასი საერთოდ არ არის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მომხრე. „ეს არის არა მხოლოდ ისრაელის წინააღმდეგ მიმართული, არამედ ანტისემიტური ორგანიზაცია და მისი მიზანია ღაზას სექტორში ისლამური სახელმწიფოს წარმოქმნა, რომლსაც ისრაელთან მშვიდობა საერთოდაც არ სჭირდება“. (ფ. სტაუნტონი ,სპეციალისტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში,ლონდონის უნივერსიტეტი).[65]

ჰამასის მუშაობის ტაქტიკა ეყრდნობოდა ისლამური ფუნდამენტალიზმის პრინციპებს. მისი მიზანი ინთიფადაში პირდაპირი მონაწილეობის მიღება და მისთვის ისლამური აზროვნების მორგება იყო. ჰამასის სტრუქტურული ევოლუცია ასახავს გარემოსთან მისი ადაპტაციის პროცესს, რომელიც განისაზღვრა ორგანიზაციის ზრდითა და მისი ბაზების გავრცელებით. ჰამაისი მიზანი - ისრაელის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ფართო მხარდაჭერას პოულობდა. ჰამასი სახალხო მოძრაობა გახდა. 1988 წ. 18 აგვისტოს ჰამასმა გამოაქვეყნა თავისი ქარტია. სწორედ აგვისტოში შეიხმა იასინმა ღაზას სექტორში შეკრიბა ექვსი თანამოაზრე: ექიმი ‘აბდ ალ-

[65] *„ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“ -ჰამასი.* (თ. გ.). დაბრუნებული intermedia.ge: http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/59197-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%-დან

‘აზიზ არ-რანტისტი, იბრაჰიმ ალ-იაზური, შეიხი სალიჰ შიჰადა, ‘ისა ან-ნაშარი, მუჰამედ შამ’ა და ‘აბდ ალ-ფათაჰ დუხანი და მათ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეა გაანდო. ღაზა დაიყო ექვს სექტორად, რომლებიც მოექცნენ თითოეული ამ პირის პასუხიმგებლობის ქვეშ. მათ დაუყოვნებლივ შექმნეს ჰამასის უჯრედები და დაიწყეს წევრების მოზიდვა.

ჰამასის საქმიანობის ცენტრები იყო მეჩეთები, სადაც ხდებოდა შეხვედრები, დემონსტრაციები, პროკლამაციების გავრცელება და ტერორისტული თავდასხმების მზადებაც კი.

თავდაპირველად ჰამასი სამ დამოუკიდებელ უჯრედად ჩამოყალიბდა. პოლიტიკური ფრთა, შემდეგ ჰამასი გაფართოვდა, ორგანიზაციაში შეიქმნა ადმინისტრაციული, საქველმოქმედო, საინფორმაციო და პოლიტიკური, უშიშროების და სამხედრო ფრთები და მოვლენების ერთეულები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ქვედანაყოფები.

სამხედრო ფრთა, რომლის მთავარ მიზანს ისრაელის ოკუპაციასთან ბრძოლას წარმოადგენდა, ყველაზე აქტიური იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სამხედრო ფრთის ფარგლებში 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადები, რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ლიდერი და სულის ჩამდგმელი იყო იაჰია აიაში.

უშიშროების ფრთა პასუხისმგებელი იყო ურთიერთობებზე იმ პალესტინელებთან, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ისლამის პრინციპების დარღვევაში. მის სამიზნეებს წარმოადგენდნენ პალესტინელები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ისრაელთან თანამშრომლობა. ბევრი ეჭვმიტანილი იქნა მოტაცებული და დაკითხული. ზოგჯერ ბრალდებები სიკვდილით დასჯის მიზეზიც კი ხდებოდა.

ორგანიზაციის სხვადასხვა ფრთა ერთმანეთის საქმიანობაში არ ერეოდა. ეს ხელს უწყობდა ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის დაცვას ისრაელის უსაფრთხოების ძალებისგან, შემდგომში კი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისაგან (პეა), რომელიც 1994 წ. ივნისში ჩამოყალიბდა.

ჰამასის მრავალმხრივი დაფინანსება წლიურად 25-30 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მთავარი დონორებად მოიაზრებიან ირანი, საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები, ასევე სხვადასხვა საქველმოქმედო.

ჰამასის იდეოლოგია პანარაბული ისლამური რელიგიური იდეალებისა და პალესტინის ეროვნული მოძრაობის სინთეზია. იგი იზიარებს მუსლიმი ძმების თვალსაზრისს, რომელიც უარყოფს ნებისმიერ დასავლურ ფასეულობას და პრინციპებს.

ჰამასის თვალსაზრისით, პალესტინის სახელმწიფო განთავსდება ხმელთაშუა ზღვიდან მდ. იორდანემდე, მისი ცხოვრების წესი ჰამასის ისლამის პრინციპებზე იქნება დამყარებული. ჰამასის ქარტია არ ცნობს ისრაელს. მის პრეამბულაში დამოწმებული ჰასან ალ-ბანას სიტყვები: „ისრაელი არსებობს და გააგრძელებს არსებობას მანამდე ვიდრე ისლამი არ გაანადგურებს მას, ისევე როგორც მოსპო მისი წინამორბედნი“.

ისრაელისა და ებრაელების მიმართ ქარტია რადიკალურად უარყოფით და ანტისემიტურ ტერმინოლოგიას იყენებს - ებრაელები დახასიათებულია როგორც ბოროტი ძალა და პალესტინელებს მოუწოდებს ჯიჰადისკენ - საღვთო ომისკენ, ებრაელთა დასახოცად.

თანდათანობით ჰამასის მოთხოვნები და მოწოდებები უფრო კონკრეტულად და თანამიმდევრულად ჩამოყალიბდა. ესენი იყო: პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება, ისრაელის დაზვერვის სამუშაოების და პალესტინის სტატუსზე ნებისმიერი სახის მოლაპარაკებების ჩაშლა.

ჰამასი ასევე მოითხოვდა პალესტინელი მოსახლეობისაგან ბოიკოტი გამოეცხადებინა ისრაელის მიერ წარმოებული სასმელებისათვის, რომელთა ექსპორტი ხდებოდა. შემდგომში ეს ბოიკოტი ისრაელის ყველა პროდუქციაზე გავრცელდა.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამასთან ერთად ჰამასი კატეგორიულად კრძალავდა ქურდობასა და გამოძალვას; მოუწოდებდა ახალგაზრდებს თავი შეეკავებინათ

ნარკოტიკების გამოყენებისაგან და ნარკოტიკებით მოვაჭრეებს დასჯით ემუქრებოდა. იმ პერიოდში, როცა არ არსებობდა პალესტინური პოლიცია ან სხვა შესაბამისი ორგანო, მას ხდიდა დე ფაქტო ორგანიზაციად, რომელიც ღაზას მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ჰამასი არა მარტო ისლამურ-ფუნდამენტალისტურ, არამედ საერთოდ ტერორისტულ დაჯგუფებათაგან იმით გამოირჩევა, რომ არც მკაცრად ჩამოყალიბებული სტრუქტურა აქვს და არც საერთო ხელმძღვანელი ჰყავს. ჩამოყალიბებიდან (გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო) ვიდრე 2004 წლამდე ორგანიზაციის სულიერი ლიდერი შეიხი აჰმედ იასინი იყო, მისი სიკვდილის შემდეგ კი ხელისუფლება პოლიტბიურომ აიღო ხელში. დღეს ჰამასის ლიდერებად სახელდება ოთხი კაცი: ისმაილ ჰანია, ხალედ მაშალი, მაჰმუდ აზ-ზავაჰირი და მუსა აბუ მარზუკი. დაუზუსტებელი ცნობებით, ამათ შორის ყველაზე გავლენიანი ისმაილ ჰანიაა. ის ამჟამად ღაზის სექტორში პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა და ფორმალურად პალესტინის ავტონომიის პარლამენტის წევრად ითვლება, თუმცა ფათჰთან დაპირისპირების გამო მოვალეობას ვერ ასრულებს.

ჰამასის სამხედრო ფრთას -„იზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადას“ მოჰამედ აჰმედ დეიფი ხელმძღვანელობს. ალ-კასამას ბრიგადა, როგორც წესი, უაღრესად გასაიდუმლოებული ორგანიზაციაა, რომლის წევრთა სახელები და მოვალეობანი მათ სიკვდილამდე არ ხმაურდება. ბრიგადის წევრები ხალხში თითქმის ყოველთვის ტრადიციული არაბული თავსაბურავით (კუფიით) იფარავენ სახეს და მწვანე ან კომუფლირებული სამხედრო ტანისამოსი აცვიათ. ისინი განმასხვავებელ ნიშნებს არ ატარებენ, გარდა სამკლაურისა, რაზეც ბრიგადის ემბლემაა გამოსახული. იზ ად-დინ აკ-კასამის ბრიგადის ყველა წევრი, თუკი ტყვედ ჩავარდნა დაემუქრება, ვალდებულია თავი მოიკლას. მათი მოვალეობა კი ინთიფადას დროს ისრაელის არმიასთან დაპირისპირებაა.[66]

[66] *Israeli-Occupied Territories and Emerging Palestinian Autonomous Areas. – The Middle East and North Africa.* (1999.). Europa Publications Limited.

ტერაქტების მოწყობა, როგორც წესი, ჰამასის შემადგენლობაში შემავალ მეორე ბრიგადას - შაჰიდთა ბატალიონს ევალება. მისი წევრები უკლებლივ უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანები არიან. აქედან გამომდინარე, კიბოთი, შიდსით ან სხვა უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს ჰამასის აქტივისტები შთააგონებენ, თითქოს მათი ავადმყოფობა ალაჰის მიერ მოვლენილი სასჯელია არასწორი ცხოვრების გამო და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გაქრება, როცა ავადმყოფი ღვთის სათნო საქმეს აღასრულეს. ასე რომ, საბრალოს ერთადერთი არჩევანიღა აქვს - შაჰიდის ქამარი უნდა შემოირტყას და ებრაელთა რომელიმე დასახლებაში, ხალხმრავალ ადგილას აფეთქდეს. უკურნებელი სენი კი ქრება, ოღონდ ავადმყოფთან ერთად.

გარდა ამისა ჰამასს პოლიციური ქვედანაყოფებიც ჰყავს. როგორც წესი, ისინი ღაზის სექტორში მოსახლეობის უსაფრთხოებას იცავენ და ცნობებს კრებენ ებრაელთა აგენტების შესახებ. ჰამასის პოლიციელები უნიფორმას არ ატარებენ და შესაბამისად, მშვიდობიანი მოსახლეობისაგან არ გამოირჩევიან. ტრადიციულად, 5-10 კაციან მობილურ ჯგუფებად იყოფიან და უბნების მიხედვით ნახევრად დამოუკიდებელ „ცენტრებს“ ემორჩილებიან.

პოლიციელებს ეკრძალებოდათ ტერაქტების მოწყობა და საერთოდ, თვითნებური ქმედებები - მათი ვალია, აღკვეთონ უკანონობა და შეაგროვონ ინფორმაცია. რაღა თქმა უნდა, ამ პოლიციელების ვინაობაც გასაიდუმლოებულია - მათ მხოლოდ მეტსახელებით იცნობენ.

საზოგადოდ ჰამასში ახალი წევრის მიღება ტერორისტულ დაჯგუფებებში აპრობირებული მეთოდით - რეკომენდირებით ხდება: წევრობის კანდიდატს თავდებად რამდენიმე გამოცდილი წევრი უდგება და მხოლოდ ამის შემდეგღა წყდება მისი მიღება-არმიღების საკითხი. ყოველ ახალ წევრს პარტიულ მეტსახელს, ანუ ნისბას აძლევენ, რომლის გახმაურებაც სიკვდილით ისჯება. ჰამასის წევრებს ეკრძალებათ

ოჯახის ყოლა და ხანგრძლივი რომანტიკული ურთიერთობაც კი, რათა მათთვის განდობილი ინფორმაციის უნებლიე გაჟონვა არ მოხდეს[67].

ჰამასი კონსპირაციას ნადვილად იცავს, რადგან მის შესახებ მასმედიაში არსებული ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი ნახევრად ლეგენდარულია.

ჰამასის მებრძოლები ქალაქის პარტიზანული ომის სპეციალისტებად ითვლებიან. დასავლური მასმედიის ცნობით, ქალაქის პარტიზანული ომის კლასიკურ მაგალითებად თამამად შეიძლება დასახელდეს ჰამასის აქტივისტების მიერ ჩატარებული ოპერაციები, ამის გამო ღაზის სექტორი მთელ მსოფლიოში პერმანენტულ ცხელ წერტილად ითვლება.

დაჯგუფების იდეოლოგია კი, რაღა თქმა უნდა, ფუნდამენტალისტურ ისლამსა და შარიათს ემყარება. ჰამასის აქტივისტები დაღუპულ შეიხ აჰმედ იასინს ისევ თავიანთ სულიერ ლიდერად (უსთაზად) მიიჩნევენ და თვლიან, რომ იგი მათ ზეციდან ესხმარება ამის გამო უკვე თოთხმეტი წელია ჰამასი ახალ სულიერ ლიდერას აღარ ირჩევს და აცხადებს, რომ აჰმედ იასინის გარდა, მათ არავინ სჭირდებათ: ჩვენი ლიდერი უკვე მტრებისგან დაცულ და მიუწვდომელ ადგილას - სამოთხეშია. ამიტომ სულიერად მასზე უკეთ ვერავინ გვიწინამძღვრებს! - განაცხადა გასულ წელს ჰამასის სამხედრო ფრთის ლიდერმა მოჰამედ დეიფმა.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-მა წამოიწყო ანტიტერორისტული კამპანია. ამერიკის სპეცსამსახურებმა გამოაქვეყნეს სია 22ტერორისტული ჯგუფის,რომელთა უმრავლესობა მუსლიმურია.ლიბანის ჰიზბალაჰი(=ჰეზბოლა) მათ რიცხვში. ის არის არა მარტო ლიბანში,არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების მონაწილე. ჯერ კიდევ 1999 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიაკუთვნა ის 28 ყველაზე უფრო საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციის სახელწოდება ნიშნავს „ალაჰის პარტიას“.მოძრაობა, რომელიც ტავის მიზნად

[67] *Israeli-Occupied Territories and Emerging Palestinian Autonomous Areas. – The Middle East and North Africa.* (1999.). Europa Publications Limited.

ასახელებს ლიბანის მთელი მოსახლეობის ინტერესების გამოხატვას. მისი სოციალური პოლიტიკა- დანგრეული შენობების აღდგენა, სკოლების,საავადმყოფოების,სუპერმარკეტების მშენებლობა - საკმაოდ დადებით იმიჯს უქმნის ლიბანის მოსახლეობაში(უპირველესად შიიტთა შორის). ჰიზბალაჰის წევრები იმავდროულად არიან ლიბანის პარლამენტის წევრები.

ისრაელის ინტერნეტ-საიტებზე ეს ორგანიზაცია ამგვარადაა მოხსენიებული :"შიიტური მიმართულების ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია,რომელიც იმყოფება სირიის და ირანის კონტროლქვეშ"[68] ორგანიზაციის მოქმედების ძირითადი შედეგი გახდა ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანა 20 წლიანი ოკუპაციის შემდეგ (2005). ირანი ფინანსურ დახმარებას უწევს ამ ორგანიზაციას თავისი იდეოლოგიური გავლენის გავრცელების მიზნით. არაოფიციალურად ცნობილია,რომ ირანის ფინანსური დახმარება ჰიზბალაჰისადმი ყოველწლიურად 80 მლნ. ამერიკულ დოლარს აღწევდა, რომელიც 1997 წლისათვის 100 მლნ-მდე გაიზარდა. ამას ემატება საბრძოლო მასალებით მომარაგება.

ჰიზბალაჰის დაარსების თარირად ითვლება 1984 წლის 16 თებერვალი. ჰიზბალაჰის სულიერ ლიდერად აიათოლა ხომეინი გამოცხადდა,როლო პარტიის გენერალურ მდივნად - მუჰამად ჰუსაინ ფადლალაჰი. 1985 წელს ის შეცვალა 31 წლის ახალგაზრდამ - ჰასან ჰასრალაჰმა(=ნასლარა), რომელიც დღემდე ამ ორგანიზაციის ლიდერია. ფაქტობრივად,შიიტური პარტია ჰიზბალაჰი ლიბანში გახდა ირანის ისლამური რევოლუციის ექსპორტის ერთადერთი წარმატებული პროექტი. ამას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა: შიიტური მოსახლეობა ლიბანში, სამოქალაქო ომი ქვეყანაში, ისრაელის ინტერვენცია 1982 წელს,სირია-ირანის კარგი ურთიერთობა.

1985 წლის 16 თებერვალს გავრცელდა „ჰიზბალაჰის ღია წერილი ჩაგრულებისადმი ლიბანში და მთელ მსოფლიოში" ანუ ჰიზბალაჰის მანიფესტი. ეს დოკუმენტი გახდა ჰიზბალაჰის პროგრამა,სადაც გადმოცემულია ორგანიზაციის მიზნები: ქვეყანაში

[68] *International Institute for Counter-Terrorism (ICT)*. (б.д.). Получено из www.ict.org.il.

წესრიგის და სამართლიანობის დამყარება,რომელიც მხოლოდ ირანის მსგავსი ისლამური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ არის შესაძლებელი; აშშ-ის და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთა პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში დიდ საფრთხეს უქმნის ისლამურ ტრადიციებს და კულტურას[69]

ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის (მუჰამად რაადი)სიტყვებით,ჰიზბალაჰის ტაქტიკას შეადგენს მოულოდნელობა,რათა ისრაელმა ვერ გათვალოს მისი შემდეგი ნაბიჯები. ამ მოძრაობის განსაკუთრებული თავისებურება არის სწრაფი რეაგირება სიტუაციაზე,რაც საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს პოლიტიკური წონა სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური გარემოს პირობებში.

ჰიზბალაჰი ითვალისწინებს ქრისტიანების ინტერესებსაც. 1997 წლის რომის პაპისადმი მიწერილ წერილში ჰიზბალაჰი საუბრობს მუსლიმთა და ქრისტიანთა საერთო მიზანზე- საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნაზე ისლამის ნორმების საფუძველზ. ხაზგასმულია, რომ ისინი არ ცდილობენ თავს მოახვიონ ისლამი ძალით. ადლალაჰი არის შიიტური თემის მთავარი მუჯთაჰიდი, რომელსაც აიათოლას ტიტული ხომეინიმ მიანიჭა.

ჰიზბალაჰის ხელმძღვანელი ორგანო არის უმაღლესი საკონსულტაციო საბჭო,რომელსაც თავმჯდომარეობს გენერალური მდივანი.საბჭოს წევრები აირჩევიან ცენტრალური საბჭოს მიერ.პარტიას აქვს პოლიტბიურო, იურიდიული საბჭო, საბჭო პარლამენტის საქმეებზე, აღმასრულებელი საბჭო ანუ კომიტეტი, ჯიჰადის საბჭო. პარტიას ჰყავს საკუთარი სპეცსამსახურები და უსაფრთხოების საბჭო. უთანხმოების შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა თეირანს. ძირითადი სამხედრო ძალა არის „ისლამური წინააღმდეგობა“ (ალ- მუკავამა ალ- ისლამია), რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. აღმასრულებელ საბჭოს აქვს რამოდენიმე განყოფილება, რომლებიც პასუხს აგებენ პარტიის საქმიანობის სხვადასხვა

[69] Program, T. h. (2007). *The hizballah Program.*

ასპექტზე:სოციალური განყოფილება, ისლამური ჯანდაცვის, ინფორმაციის, პრესის, ფინანსური დახმარების, საგარეო კავშირების და ტექნიკური ადმინისტრაციის განყოფილებები. აიათოლა ფათვას აქვს განმსაზღვრელი ძალა. ჰიზბალაჰის დაფინანსების წყაროების: შემოწირულობები, ბიზნესში მონაწილეობა საერთოკორპორაციულ საწყისებზე და, რა თქმა უნდა, მხარდაჭერა ირანიდან - ეს ყველაფერი უზრუნველყოფს პარტიის ეკონომიკურ მობილობას.პარტიის ფულადი სახსრები ინახება ირანის ბანკებში. პარტიის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია განათლებასაც. სპეციალიზირებული რელიგიური სასწავლებლების გვერდით პარტიას აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები- ალ-მაჰდის და ალ-მუსტაფას და უმაღლესი სასწავლებლებიც.

დღეს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს პოლიტბიურო,. საკონსულტაციო საბჭოს ემორჩილება რამდენიმე აღმასრულებელი კომიტეტი,რომლებიც პაასუხისმგებელნი არიან პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობაზე. იერარქიის შემდეგ საფეხურზე არის სამხედრო აპარატი და პროპაგანდის აპარატი. აქ გაყოფილია სასულიერო და სამოქალაქო ძალაუფლება.

ჰიზბალაჰის პირველი გენერალური მდივანი იყო ფადლალაჰი. მას შემდეგ რაც მასზე მოხდა თავდასხმა ისრაელის სპეცსამსახურების, მან შეწყვიტა თავისი საქმიანობა(დატოვა ყველა პოსტი) და დარჩა მხოლოდ სულიერ ლიდერად . ხელისუფლების გაყოფა აიათოლასა და პრეზიდენტს შორის მოხდა 1989 წელს, აიათოლა ხომეინის სიკვდილის შემდეგ.თვითონ ორგანიზაციის შეგნით იყო პრობლემა- დაპირისპირება ზომიერ და რადიკალურ დაჯგუფებებს შორის. ამასთან, მტელი შიიტური თემი არ უჭერდა მხარს ჰიზბალაჰს. ამალ-ს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავდა.

შიდაპოლიტიკურ საკითხებში ჰიზბალაჰი მთლიანობაში გამოირჩევა ზომიერებით, მაგრამ საგარეო პოლიტიკის საკითხებში მისთვის დამახასიათებელია ექსტრემიზმი, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისრაელს და აშშ-ს. ეს ქვეყნები დასახელებულია მტავარ მტრებად,რომლებთანაც აუცილებელია ბრძოლის გაგრძელება. ამის გამო

არიცვლება ჰიზბალაჰის სტრატეგიული კუთვნილება „შეიარაღებული ექსტრემისტული ფორმირებებისადმი

დასკვნა

ისრაელის სახელმწიფომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ბევრი წინააღმდეგობა გაიარა, მაგრამ მიუხედავად ამისა უკვე ეს სახელმწიფო 70 წელია არსებობს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს არამარტო ახლო აღმოსავლეტში არამედ მთელ მსოფლიოში.

ისრაელის სახელმწიფოს გვერდით უნდა შექმნილიყო პალესტინის არაბული სახელმწიფოც, მაგრამ ის დღემდე არ შექმნილა. ამან განაპირობა ის კონფლიქტური სიტუაცია რაც, პალესტინის ადმინისტრაციასა და ისრაელს შორის არსებობს ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნიდან დღემდე.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის თანავე უხდებოდა არაბულ სამყაროსთან ბრძოლა, რომლებიც ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ მისი არსებობისათვის. ისინი ებრძოდნენ და

ეს ბრძოლა ეხლაც გრძელდება, ამ ქვეყანის წინააღმდეგ სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა ომი,ტერორისტული აქტები და მათი ნაირსახეობები და აშ.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ისრაელს ძალიან მალე მოუხდა არამარტო ეფიქრა,არამედ გადაედგა ქმედითი ნაბიჯები,რათა აემაღლებინა თავისი თავდაცვისუნარიანობა და შეენარჩუნებინა საუკუნეების მანძილზე ნაოცნებარი აღდგენილი სახელმწიფოებრიობა.

ამ მხრივ ისრაელმა მიზნად დაისახა გაეაქთიურებინა თავისი ქმედებები ანტიტერორისტული საქმიანობის მიმართულებით.

ამ სახელმწიფომ ჩამოყალიბების თანავე შეიმუშავა განკარგულება „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“.

ასევე ჩამოაყალიბა ანტიტერორისტული სკოლა, რომელმაც საშუალება მისცა მის მას მთლიანად ორგანიზებულად ემოქმედა ტერორიზმის წინააღმდეგ.

ამას გარდა ისრაელს შეუძლია არამც თუ საკუთრივ ტავის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ ორგანიზებული ტერაქტების წინასწარი აღკვეთა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეცსამსახურ „მოსადის“ შექმნა და მისი ეფექტური ანტიტერორისტული ოპერაციები, რომლითაც ის გამოირჩევა მსოფლიოში.

„მოსადის“ მიერ ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაციებიდან გამოირჩევა, გერმანელი ჯალათის ადოლფ ეიხმანის გატაცება. სპეცოპერაცია „ოპერა“, რომლის საშუალებითაც გაანადგურა ერაყის ატომური რეაქტორი. მნიშვნელოვან სპეცოპერაციათაგანია „ღვთის რისხვა“

გარდა წარმატებული ანტი ტერორისტული ოპერაციებისა ისრაელის სახელმწიფოს სპეცსამსახურებს წარუმატებელი სპეცოპერაციებიც აქვს, მაგრამ საერთო ჯამში მათი ეფექტური საქმიანობა მსოფლიოში გამორჩეულია.

ისრაელის სახელმწიფოს ანტიტერორისტული პოლიტიკა ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან ხშირად კრიტიკის საგანი ხდება. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს

პალესტინელებისა და ისრაელს შორის კონფლიქტის ახალი ეტაპის ფონზე, რაც დაკავშირებულია აშშ-ის მიერ საელჩოს იერუსალიმში გადატანას.

ამის შედეგად მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტის ახალი ტალღის გამო ისრაელის სახელმწიფო ბომბავს პალესტინის ტერიტორიას,რასაც შესაბამისი რეაქცია სდევს თან ჰამასის მხრიდან. ისრაელის ამ მოქმედებას ხშირად აკრიტიკებენ გაეროში.

განსაკუთრებით გაერო ხაზს უსვამს ,რომ ისრაელის სახელმწიფოს ასეთი ქმედებები არღვევს პალესტინის მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებს და ხდება პალესტინაზე ებრაული ახალშენების კიდევ უფრო გაფართოება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაცეჩილაძე რ. ახლო არმოსავლეთი. თბ., 2011.
2. მაისაია ვ, ობოლაძე ბ. ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში. თბ. 2009.
3. სანიკიძე გ, გელოვანი ნ, ალასანია გ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია. თბ.,ი 2011.
4. ჯაფარიძე გ. ალ-ბანა,ჰასან-ისლამი „ ისლამის ენციკლოპედიური ცნობარი“ თბ., 1999
5. ჯაფარიძე გ. მუსლიმი ძმები „ისლამის ენციკლოპედიური ცნობარი“
6. ჯაფარიძე გ. ჯიჰადი. „ისლამის ენციკლოპედიური ცნობარი“
7. ჯაფარიძე გ., ჯაფარიძე თ., ტერორი დადის აღმოსავლეტში.- გაზ. სრულიად არასიდუმლო,V, 1996.
8. ხონელიძე ნ. ისრაელის სამოუკიდებლობის დეკლარაცია-1948 წლის 14 მაისი. კრ.-ში ვალერიან გაბაშვილი- 90. თბ.,2003
9. ჰერცოგი ხ. ისრაელ-არაბების ომები. თბ., 2007

10. Блехман Рафаил . Моццад, Аман, Шабак, или Возмездие по-еврейски. 2009
11. Большаков О. Вакф. Ислам. Энциклопедичесий словарь. М. 1991
12. Ибрахим, Т.К., А.В. Сагдеев. Джихад. - Ислам. Энциклопедичесий словарь. М. 1991
13. Лакер В. История сионизма. Москва: Ладомир, 1997
14. Сакер, Говард М. История Израиля ом возникновения сионизма до создания государства Израиля.Том 1 Иерусалим: Библиотека Алия, 1994
15. Berger, Elmer. The Real Issues in the Arab-Israeli-Zionist Conflict in Smith Gary V. (ed). Zionism, the Dream and the reality: A Jewish Critique, New York: Barnes and Noble, 1974
16. Bregman, Ahron. Israel's Wars, 1947-1993.London and New York: Routledge, 2000.
17. Chertoff, Mordechai S Zionism: a Basic Reader. New York: Routledge, 2000.
18. Chomsky, N. Fateful Triangle : The united states, Israel and the Palestinians (updated edition). London: Pluto Press, 1999
19. Cleveland, William L. A History of the Modern Middle East 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004, 2009.
20. Evron, Boas. Jewish state or Israeli Nation? Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press, 1995.
21. Felton, John. The Contemporary Middle East: a Documentary History. New York: SQ Press, 2008
22. Fromkin, D., 1989.
23. Ganor, Boaz. Hamas – The Islamic Terrorist Movement in the Territories. Survey of Arab Affairs – A periodic supplement to Jerusalem Letter. Viewpoints. 2 February 1992
24. Golden, Jonathan M. Ancient Canaan and Israel: An Introduction. Oxford: Westview Press, 1994
25. Hertzberg, Arthur (ed .). The Zionist Idea: A Historical Analysis and Reader. Oxford: Osprey, 2002.
26. Hroub, Khaled. Hamas. Political Thtought and Practice. Institute for Palestine Studies, SWashington, 2000.
27. Israeli-Occupied Territories and Emerging Palestinian Autonomous Areas. – The Middle East and North Africa (Europa Publications Limited) Fourty-fifth Edition, 1999.
28. Kamrava, Mehran. The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2005.
29. Khalidi, Rashid. Palestinian Identity: The Construcion of Modern National Consciousness. New York: Columbia University Press, 1997.
30. Kumaraswamy, P.R. The A to Z of the Arab-Israeli Conflict. The Scarecrow Press, Inc., 2009
31. Laqueur, Walter and Rubin, Barry (eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict. New York: Penguin Books, 1995

32. Lequeur, Walter. A History of Zionism. New York, 1989.
33. Lilienthal, Alfred M. Israel is Created Smith Gary V. (ed). Zionism, the Dream and the Reality: A Jewish Critique. New York: Barnes and Noble, 1974.
34. Mansfield, P., 1992
35. Mayir V. The Balfour Declaration and its makers. In Kadourie E. and Haim S. (eds), Palestine and Israel in the 19th and 20th Centuries . London: Oxford University Press, 1982.
36. McDowall, D. The Palestinians: Minority Rights Group Report No24. London, 1975
37. Milstein, Uri. The War of Independence. Vol. IV: Out of Crisis Came Decision. Tel-Aviv, Zmora-Bitan Publishers, 1991.
38. Morris, Benny. Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-1999. New-York:Alfred Knopf, 1999
39. Quandt, William B. Peace Process: American Diplomacy and the Arab-Israeli Conflict since 1967. Berkely and Los Angeles: University of California Press, 2005.
40. Risse-Kappen, Thomas. Cooperation among Democracies: The European Influence on U.S. Foreign Policy. Princeton; NJ: Princeton University Press, 1995.
41. Rollim, A., 2002
42. Shlaim, Avi. The Iron Wall: Israel and Arab World. New York, London : W.W. Norton and Co., 200.
43. Slavicek, Louise Chipley. Israel. 2nd ed. (Series, Creation of the modern Middle East.)Philadelphia: Chelsea House. 1956.
44. Terrill W. Andrew. Escalation and Intrawar during limited wars in the Middle East. September, 2009. www.strategicStudiesInstitute.army.mil/
45. Tessler, Mark. A History of the Israeli-Palestinian Conflict. Bloomington: Indiana University Press, 1994.
46. Tuchman, Barbara W. Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour. New York : Ballantine Books, 1984.
47. The United Nations Partition Plan. www.merip.org/2006
48. Wagner, Donald. Evangelicals and Israel Theological Roots of a Political Alliance. The Christian Century, 1998, pp. 1020-1026.
49. Wilson, Mary. King Abdullah, Britain and the Making of Jordan. Cambridge: Cambridge University Press, 1987.

ინტერნეტ რესურსები

1. В.А Эпштеин./ Контртеррористическая политика государство Изпаил/ http://www.law.edu.ru/doc/document.asp?docID=1219108/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 14.06.2018
2. „მოსადი“ ლეგენდები და სინამდვილე მსოფლიოს საუკეთესო სპეცსამსახურზე/ https://www.ambebi.ge/article/199637-mosadi-legendebi-da-sinamdvile-msoplios-sauketeso-specsamsaxurze/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 14.06.2018
3. „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“ - ჰამასი/ http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/59197-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98/126/უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 14.06.2018
4. Писмо давида Бен-Гуриона О создании «Моссада» /http://wikilivres.ru/%D0%9F%D0%B8%D1%81%D1%8C%D0%BC%D0%BE_%D0%94%D0%B0%D0%B2%D0%B8%D0%B4%D0%B0_%D0%91%D0%B5%D0%BD-%D0%93%D1%83%D1%80%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0_%D0%BE_%D1%81%D0%BE%D0%B7%D0%B4%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B8_%C2%AB%D0%9C%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B0%D0%B4%D0%B0%C2%BB /უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 14.06.2018
5. «Моссад»https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B0%D0%B4/უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 14.06.2018